მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი (ხეშვანი) 15-31
№19 (328)
(5771)
2010
ფასი 50 თეთრი

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

www.menora.ge

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ



14 ოქტომბერს ბათუმში პრესტიჟულ რესტორანში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილესთან — ა. ხარაიძესთან სადილობისას დააპატიმრეს ორი ცნობილი ისრაელელი ბიზნესმენი რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი.

რონი ფუქსი ისრაელში ცნობილი ბიზნესმენი და ღირსეულ პიროვნებად მიჩნეული მოღვაწეა, რომელსაც კარგი კონტაქტები აქვს პარლამენტის წევრებთან და თავად ისრაელის პრეზიდენტთან შიმონ პერესთან. იგი თურქეთის საპატიო კონსულია ეილათში.

ზეევ ფრენკელი თითქმის ორი ათეული წელია საქართველოში ეწევა სამშენებლო ბიზნესს. ჯერ კიდევ გამსახურდიას მმართველობის წლებში რონი ფუქსმა, (კომპანია „ტრამექსი“) საქართველოში მოიპოვა ნავთობსაძიებო სამუშაოს ჩატარების უფლება.

ორი-სამი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ხელშეკრულება გააუქმა, რითაც „ტრამექსი“ ერთობ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მოექცა. იგი წლების განმავლობაში ცდილობდა სამართლიანობის მიღწევას. არაფერი გამოვიდა, ბოლოს „ტრამექსმა“ საქართველოს ხელისუფლებას ლონდონში, სასამართლოში უჩივლა და საქმე მოიგო კიდეც. საქართველოს ხელისუფლებას „ტრამექსისთვის“ უნდა გადაეხადა 100 მილიონი დოლარი.

გავრცელებული ინფორმაციით რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ბათუმში დააკავეს იმის გამო, რომ შვიდ მილიონ დოლარს სთავაზობდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, საქართველოს ხელისუფლებამ ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაასაჩივროსო.

საინფორმაციო საშუალებები მიიჩნევენ, რომ ეს არის „შეკერილი“ საქმე და იგი კარგახანი მზადდებოდა. საიტი „IzRus“ იუწყება, რომ რონი ფუქსი საქართველოში ოფიციალურმა ორგანომ მოიწვია და მერე აქ საქმე მოუწყვესო. თუმცა, არსებობს საუბრის აუდიოჩანაწერი.

17 ოქტომბერს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დაურეკა და „სთხოვა გაეთავისუფლებინა ორი ისრაელელი, რომლებიც დაპატიმრებულები არიან იმის გამო, რომ თითქოსდა ქრთამს აძლევდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს“. პერესთან დაახლოებული პირები ამტკიცებენ, რომ საქართველოში ორივე ბიზნესმენს ეს ამბავი მოუწყვეს.

საინფორმაციო პორტალი „IzRus“ არ იუწყება, თუ როგორი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის პასუხი ისრაელის პრეზიდენტის თხოვნაზე. რონი ფუქსს და ზეევ ფრენკელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

„ᲑᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲚᲘᲕᲘ

29 სექტემბერს დაიწყო და 15 ოქტომბერს დამთავრდა თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ფესტივალის პირველი დღეები დაეთმო ქართულ სპექტაკლებს — უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან თეატრალურ პროდიუსერებს, ფესტივალის დირექტორებს წარმოუდგინეს თითქმის ყველა ქართული თეატრის სპექტაკლი. ფესტივალების ხელმძღვანელებს ამით საშუალება მიეცათ შეარჩიონ ის ქართული სპექტაკლები, რომელთაც თავიანთ ფესტივალებზე მისაწვევთა სიაში შეიტანენ. ფაქტიურად, ეს არის საერთაშორისო თეატრალური დათვალიერება, რომლითაც ჩნდება რამდენად რენტაბელურია ქართული თეატრის სპექტაკლები.

3 ოქტომბრიდან დაიწყო უცხოეთის ქვეყნების საუკეთესო სპექტაკლების ჩვენება. თბილისში სპექტაკლები წარმოადგინეს ლიტვის, იტალიის, სომხეთის, გერმანიის, ესტონეთის, საფრანგეთის, ხორვატიის, ირანის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის თეატრებმა.

ფესტივალის პროგრამით 13 ოქტომბერს სპექტაკლი ითამაშა ისრაელის თანამედროვე ცეკვის კომპანიამ „კიბუცი“. „კიბუცის“ სპექტაკლი რუსთაველის თეატრში გაიმართა.

თანამედროვე ცეკვის კომპანია „კიბუცი“ დააარსა იუდიტ არნანმა და 1996 წლამდე მისი სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. „კიბუცი“ შემოქმედებითად იმდენად დაწინაურდა, რომ ბოლო წლებში მას იწვევენ შეერთებულ შტატებში, კანადაში, სამხრეთ ამერიკასა თუ ევროპის ქვეყნებში. ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია რამი ბეერი. იგი ისრაელის ერთ-ერთ კიბუცში დაიბადა, მუსიკოსების ოჯახში.

— მე ვაერთიანებ მუსიკას, ტექსტს, ვიზუალურ ეფექტებს და პლასტიკას — გვეუბნება რამი ბეერი — ვიყენებ შთაბეჭდილებებს, რომელსაც გულუხვად გვთავაზობს სამყარო. ცეკვა ჩემთვის ცხოვრების გზაა. მწამს, რომ ნებისმიერ ხელოვნებას შეუძლია გამოხატოს ადამიანის განწყობა, შინაგანი მდგომარეობა და აღგვიძრას ეგზისტენციალური არსის ძიების წყურვილი. გიწვევთ სამოგზაუროდ, შემოგვიერთდით. მე მხოლოდ თოკის ერთ ბოლოს გამოგიწვდით, დანარჩენი თქვენთვის მომინდვია.

შეკითხვაზე, თუ რა არის რამი ბეერის შთაგონების წყარო, იგი პასუხობს:

— რომელიმე მელოდია, უცნაური საგანი, მზის სხივი, წვიმის წვეთებით დანამულ ფოთოლზე.

„თანამედროვე ცეკვის კომპანია“ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარსდგა სპექტაკლით „ბნელ ბაღში“. ტექსტის ავტორი, ქორეოგრაფი, სცენოგრაფი, მხატვარი და გამნათებელია რამი ბეერი. სპექტაკლში გამოყენებული გახლდათ ბახის, ნინე ინჩ ნაილის, ანიმალ კოლექტივის, მაქს რიხტერის, ისრაელ ბრაითის, დოვეს, ჯონ შურმანის, დიამანდა გალასის, ოტომო იოშიდეს მუსიკა.

ისრაელელმა მოცეკვავეებმა: რენანა რენდიმ, ნირ ევერშოჰამმა, დანიელ ოჰნიმ, იუკო არადამ, შაი პარტუშმ, დანა რაციმ, ოზ მულაიმ, შანი ქოჰენმა, შარლოტ ვან დერ რიკიმ, დაირი აბენმა, ეთაი ფერიმ, კორენა ფრეიმანმა თბილისელებს მომხიბლავი ქორეოგრაფიული სანახაობა წარუდგინეს. რუსთაველის თეატრის პირთამდე სავსე პარტერი, იარუსები დიდხანს უკრავდა ტაშს ისრაელელ მოცეკვავეთა ხელოვნებას. თბილისელებმა კარგად იციან ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი, მაღალმა შეფასებამ არც აქ დააყოვნა: მაღალ თეატრალურ კულტურას სათანადო შეფასება მისცა.

თბილისელმა მაყურებელმა „ბნელ ბაღში“ დაინახა ხელოვნების დიდი სხივი.

www.menora.ge

დასვენება საირმეში

21 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე „ხესედ ელიაჰუს“ ეგიდით საირმეში მოეწყო ათდღიანი დასასვენებელი ბანაკი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონის „ხესედების“ სამეურვეო პირებისათვის იყო განკუთვნილი.

ჩვენ შევხვდით „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს ბ-ნ რევაზ შათაშვილს და ვისაუბრეთ ბანაკის თაობაზე.

— ბ-ნო რევაზ გვიამბეთ ბანაკის შესახებ, როგორ გაჩნდა მისი მოწყობის იდეა.

— ასეთი ბანაკები ეწყობა ყოველწლიურად და მოხარული ვარ, რომ წელს მისი მოწყობა სწორედ საირმეში გახდა შესაძლებელი.

გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა საირმის კურორტზე მდებარე სანატორიუმმა „ოაზისი“, სადაც ბანაკისთვის განკუთვნილი ათი დღე გავატარეთ. ბანაკის დირექტორი მე გახლდით, ასევე ჩვენთან ერთად იყვნენ „ხესედ ელიაჰუს“ თანამშრომლები, ძირითადად კურატორები, რომლებიც ყველანაირად მეხმარებოდნენ, რომ ეს 10 დღე ნაყოფიერად გაეტარებინათ ჩვენს სამეურვეო პირებს.

— რამდენი სამეურვეო პირი მონაწილეობდა „ხესედის“ ამ პროგრამაში?

— ბანაკი 132 ადამიანისგან შედგებოდა, აქედან 8 ადამიანი „ხესედის“ თანამშრომლები გახლდით, დანარჩენი 124 კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან „ხესედის“ სამეურვეო პირი.

— თბილისის გარდა, რომელი ქალაქებიდან იყვნენ ამ პროგრამის მონაწილეები?

— თბილისიდან იყო ყველაზე მეტი – 95 სამეურვეო პირი, დანარჩენები ფოთიდან, ბათუმიდან, გორიდან და ქუთაისიდან გახლდნენ.

— გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები, დარჩით თუ არა კმაყოფილი ბანაკით და ჩატარებული სამუშაოთი?

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ საირმეში სასწაული ბუნებაა. მე პირადად პირველად ვიყავი და აღფრთოვანებული დავრჩი ნანახით, მისი სილამაზით. საბედნიეროდ, ჩვენს ჩასვლას ძალიან კარგი ამინდები დაემთხვა, არაჩვეულებრივი კლიმატი, კარგი პირობები, ნაყოფიერი და ჯანმრთელი დასვენება — ეს გახლდათ ჩვენი მიზანი, რომელსაც მივაღწიეთ კიდეც.

მოგეხსენებათ, თუ რაოდენ განთქმულია საირმის წყლები, რომელთაც სამკურნალო დანიშნულებაც გააჩნიათ. ჩვენს სამეურვეო პირებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ამ გამაჯანსაღებელი, სამკურნალო წყლებით. მათ ყოველდღიურად დილის და საღამოს საათებში სამარშუტო ტაქსები ემსახურებოდნენ. ბანაკის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დამტკბარიყვნენ და ესიამოვნათ საირმის სილამაზით, აგრეთვე ესარგებლათ საირმის ბუნებრივი წყაროს წყლებით. ჩასვლისთანავე სანატორიუმის ექიმმა აუხსნა მათ ყოველი წყაროს დანიშნულების შესახებ, თუ რა დაავადებების დროს შეიძლება ამა თუ იმ წყლის მიღება. ასევე ჩვენს სამეურვეო პირებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ სამკურნალო წყლის აბაზანები აბანოებში, რომლებშიც წყლის ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს, უტარდებოდათ წყლისქვეშა მასაჟები და სხვა არანაკლებ სასიამოვნო და რაც მთავარია, გამაჯანსაღებელი პროცედურა.

მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანები დიდი ენთუზიაზმითა და სიამოვნებით იღებდნენ ყველა ასეთ პროცედურაში მონაწილეობას და ნამდვილად დამეთანხმება ყოველი იქ მყოფი, რომ შედეგი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — სახეზე იყო. ამის დამადასტურებელი თავად სამეურვეო პირთა აღფრთოვანება გახლდათ, რითაც მე უსაზღვროდ ბედნიერი დავრჩი.

— სწორედ თქვენი დასვენების პერიოდს დაემთხვა სუქოთი. რამდენად სადღესასწაულო განწყობა ჰქონდათ ბანაკის მონაწილეებს და როგორ აღნიშნეთ იგი?

— დიახ, სწორად აღნიშნეთ, რომ სუქოთის დღესასწაული მართლაც საირმეში დასვენებას დაემთხვა. ამასთან დაკავშირებით ბანაკში შეიქმნა საინიციატი-

ვო ჯგუფი, რომელსაც ქოენი რაფაელ მესენგისერი ხელმძღვანელობდა. მიმდებარე ტყეში გავაკეთეთ სეფა და ჩავატარეთ, სუქოთის დღესასწაულისადმი მიძღვნილი რიტუალი, რაც ძალიან ლამაზი და შესანიშნავი სანახაობა გახლდათ. ამას გარდა, პარასკევს ჩატარდა კაბალათ შაბათი, საზეიმო ვახშამი. აქედან გამომდინარე, ბანაკში იგრძნობოდა ის სულიერი განწყობა, რომელიც საერთოდ ებრაელებს გვაერთიანებს.

— რა კულტურული ღონისძიებები ჩატარდა ბანაკის ფარგლებში?

— რა თქმა უნდა, კულტურული ნაწილიც იყო გათვალისწინებული, ამისათვის წაღებული გვქონდა ვიდეოთეკა, რომლის საშუალებითაც დიდ კინოპროექტორზე ჩვენს სამეურვეო პირებს შეეძლოთ ამა თუ იმ ფოტოების, ან ფილმების ნახვა. ასევე ჭადრაკსა და ნარდში ჩატარდა ტურნირები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სამეურვეო პირი იოსებ ჯინჯიხაშვილი, იგი გახდა ტურნირის ჩემპიონი და როგორც მას, ასევე სხვა გამარჯვებულებსაც გადაეცათ სამახსოვრო პრიზები.

ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ძალიან კარგი ფსიქოლოგი ქ-ნი ლამარა უგულავა, რომელიც ყოველდღიურად მუშაობდა სამეურვეო პირებთან.

ამ ბანაკის მოწყობის მიზანი გახლდათ პირველ რიგში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ სამეურვეო პირთა მკურნალობა, ბუნებაში სუფთა ჰაერზე მათი დასვენება, რომელიც როგორც სულიერ დასვენებას, სიმშვიდეს გულისხმობს, ასევე საირმის მინერალური წყლების მიღება, რაც ძალიან სასარგებლოა. ჩვენს განკარგულებაში იყო ბანეოლოგიური კურორტის გამოყენება და პრაქტიკულად ყველა პროცედურა უფასოდ ტარდებოდა. ბანაკის კულტურული ნაწილი, თავისებურად კარგ განწყობას და ხალისს მატებდა ამ ადამიანებს. მიზანი მიღწეულია. ამის დამადასტურებელი გახლავთ თუნდაც ის წერილები, რომლებიც მივიღეთ. ჩვენ ვთხოვეთ სამეურვეო პირებს გაეზიარებინათ შთაბეჭდილებები, გამოეთქვათ პრეტენზიები, შენიშვნები, რომლებსაც ჩვენ სამომავლოდ გამოვასწორებდით, მაგრამ ამის ნაცვლად მივიღეთ აღფრთოვანებული, კმაყოფილი, დასვენებული ადამიანების მადლობის წერილები, რომელთა წაკითხვაც მე ბანაკის წარმატებულ მუშაობაში მარწმუნებს.

რა თქმა უნდა, ცალკეული მადლობა ბანაკის დამფინანსებელს „ჯოინთს“ ეკუთვნის, რომელმაც გამოყო საჭირო თანხა, ყველანაირად გვედგა მხარში ამ კეთილ საქმეში.

— ბ-ნო რევაზ რომელი კატეგორიის სამეურვეო პირები მოხვდნენ ბანაკში?

— სიმართლე გითხრათ, ბანაკში მოხვედრის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, დაახლოებით 450 ადამიანს სურდა საირმის ბანაკში მოხვედრილიყო, თუმცა მოგეხსენებათ, ამდენი ადამიანის წაყვანა სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო. თავი რომ დავანებოთ ფინანსურ მხარეს, ძალიან ძნელია თუნდაც ისეთი სანატორიუმის შოვნა, რომელიც ამდენ მსურველს დაიტევს.

რაც შეეხება შერჩევის პრინციპს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ასეთი ბანაკები რამდენიმე წელია ეწყობა და გადავწყვიტეთ წელს ის სამეურვეო პირები მოხვედრილიყვნენ, რომლებიც აქამდე არ ყოფილან ბანაკის პროგრამაში. იყო გამონაკლისიც, ჩვენ წავიყვანეთ რამდენიმე ისეთი სამეურვეო პირი, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ნამდვილად ესაჭიროებოდა დასვენება, თუმცა, ძირითადად იყვნენ ის ადამიანები, ვისაც არასდროს უსარგებლია ამ პროგრამით. ასევე ერთ-ერთი წინაპირობა გახლდათ ექიმის მიერ სამეურვეო პირების ავადმყოფობის შესწავლა, რადგან მოგეხსენებათ, საირმე მაღალმთიანი კურორტი გახლავთ და ზოგიერთ მათგანს შესაძლოა უკურეაქციაც მიეღო. ამიტომ ყველაფერი დეტალურად იყო შესწავლილი.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ჯოინთს“, რომელმაც დაგვაფინანსა, ქოენ რაფაელ მესენგისერს, რომელიც მხარში დაგვიდგა და ძალიან დაგვეხმარა და რა თქმა უნდა, „ხესედ ელიაჰუს“ კურატორებს, რომლებიც დაუღალავად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

ბ-ნი რევაზის მაგიდაზე, მართლაც ათეულობით წერილს წავაწყდით. ყველას არა, ნაწილს კი გავეცანით. ყოველ მათგანში უდიდესი სითბო და მადლობა იყო ჩაქსოვილი. კმაყოფილი და თუნდაც ამ მცირე ხნით ბედნიერი ადამიანები „ხესედ ელიაჰუს“ და მის დირექტორს, თავად ბ-ნ რევაზ შათაშვილს უღრმეს მადლობას უხდიდნენ, პატივისცემას გამოხატავდნენ და დღეგრძელ და ლამაზ სიცოცხლეს უსურვებდნენ მას.

გადავწყვიტეთ მკითხველისთვის გაგვეცნო რამდენიმე ასეთი წერილი.

ლიდია ხომენკო

მადლობის წერილები

ებრაულად „თოდა რაბა“

ქართულად „გმადლობთ“

დავიწყებ თბილისით. ჯერ კიდევ „ხესედში“ შეხვედრის დროს, ბატონი რეზო შათაშვილი ჩვენი ჯგუფის წევრებს არწმუნებდა, ჩვენი მომავალი დასვენება „უდაბნოში“ იქნებოდა ისეთ მაღალ დონეზე ორგანიზებული, რომ იქ გატარებული 10 დღე სასიამოვნო კვალს დატოვებდა თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში. ბატონ რეზოს ამ შემთხვევაში მარტო თავის იმედი კი არ ჰქონდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში მხარში ამოუდგებოდნენ თავისი კოლექტივის წევრებიც. მერწმუნეთ, ამ დუხჭირ ცხოვრებაში საკმაოდ ძნელია ერთდროულად მოემსახურო 130 ადამიანს. ყოველი მათგანი ითხოვს მის მიმართ დიდ ყურადღებას. ხშირად გიხდება თითოეული მათგანის „კაპრიზების“ დაკმაყოფილება. რაოდენ სასიხარულოა და საამაყო, როდესაც ამდენი ხალხის დასვენებაზე, მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, მათ კვებაზე, დასვენებაზე ფიქრობენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ბატონი რეზო და მისი მცირერიცხოვანი ძალიან ორგანიზებული და მობილური გუნდი.

მსოფლიოს 60 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და კარგად ვიცი რას ნიშნავს საკუთარი სახლის დროებით დატოვება და სამოგზაუროდ წასვლა. უფრო რთულია როდესაც საქმე გაქვს დასვენებასთან. ამ შემთხვევაში ჩვენი ჯგუფი გამორჩეულია სხვა აქტიური ტურისტული ჯგუფებისგან. ის 130 კაცი ხანშიშესული, დამსახურებული, ასაკოვანი ხალხი. მათ განსაკუთრებული ყურადღება და სითბო სჭირდებათ. დიდი მადლობა ბატონ რეზოს და „ხესედის“ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ეს დღეები ჩვენთან იმყოფებოდნენ „უდაბნოში“. ჩვენ ვისვენებდით, ისინი კი შრომობდნენ, შრომობდნენ ჩვენი კეთილდღეობისთვის.

მადლობა მომსახურე პერსონალსაც, როგორც „კვების ბლოკის“ თანამშრომლებს, ასევე სამედიცინო პერსონალს. მათი მხრიდან ჩვენ ყურადღება და სითბო არ მოგვკლებია. პირიქით, კვების პროდუქტების ხარისხი, შემოთავაზებული მენიუ აკმაყოფილებდა ნებისმიერი ჩვენთაგანის მოთხოვნებს.

ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ თავისი კეთილსინდისიერი შრომით სიხარული მოუტანოს ნაცნობ თუ უცნობ ადამიანს. ებრაულად „თოდა რაბა“, ქართულად „მადლობთ“ პირადად თქვენ ბატონო რეზო. ბედნიერებას და ჯანმრთელობას უსურვებ თქვენი შესანიშნავი კოლექტივის ყველა წევრს.

შალვა სვანი,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

საირმე „უდაბნო“

2010 წლის 26 სექტემბერი.

→

რვა შეკითხვა თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაის თამაზ გორელაშვილს

„მენორა“ მიესალმა გაბაიდ თქვენს არჩევას, გისურვებთ წარმატებას ჯამაათის საკეთილდღეო საქმიანობაში. იგივეს ვადასტურებთ დღეს და მივესალმებით თქვენს სტუმრობას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

1. მოკლედ გვიამბეთ თქვენი ცხოვრებისეული გზის შესახებ.

2. არჩევნებში ხმების დიდი უპირატესობით გაიმარჯვეთ. რით ახსნიდით ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას?

3. ბეით ქნესეთის ფინანსური მდგომარეობა, როგორც ამბობენ, ერთობ არასახარბიელოა, მაშინ, როდესაც იოსებ დავითაშვილის გაბაიობის შემდეგ ბეით ქნესეთის ახალ გამგეობას მრავალათასიანი მემკვიდრეობა დახვდა. თქვენ კი, გადაუჭრელი პრობლემები და ცარიელი სალარო. რახან ეს საქმე ითავეთ, მდგომარეობის გამოსწორების გეგმაც გაქვთ. როგორ, რა საშუალებით აპირებთ მდგომარეობის გაუმჯობესებას?

4. 8 ოქტომბერს ჯამაათს თქვენ გააცანით ბეით ქნესეთის მდგომარეობა. გთხოვთ მკითხველს უამბოთ თუ რამდენი სეფერთორაა დაკარგული და როგორ იყო სინაგოგაში საფინანსო აღრიცხვა?

5. რა იქნება თქვენი პრიორიტეტი?

6. საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს, მის ხელმძღვანელს ბ-ნ გაბრიელ მირილაშვილს განზრახული აქვს დიდ ბეით ქნესეთში ჩაატაროს რეკონსტრუქცია, რომელიც ათეულ ათასობით დოლარი დაჯდება. როგორ შეაფასებდით ამ წამოწყებას?

7. ბეით ქნესეთის აწყოფილი გამგეობის მმართველობის სტილმა ბევრი ნეგატიური მოვლენა განაპირობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ იყო მცდელობა შეცვლილიყო ბეით ქნესეთის ტრადიციული სახე, ფუნქცია. როგორ აპირებთ მდგომარეობის გარდაქმნას?

8. თქვენ გამგეობის ახალი წევრები — სრულიად ახალი სახეები, ახალგაზრდები წარუდგინეთ ჯამაათს. რაც სასიამოვნო ფაქტია. გთხოვთ მკითხველს გააცნოთ, რა პრინციპით ხელმძღვანელობდით გამგეობის წევრების შერჩევისას, ასევე გთხოვთ მკითხველს წარუდგინოთ გამგეობის ახალი წევრები.

1) დავიბადე თბილისში, მაქვს ორი უმაღლესი განათლება. დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიური ფაკულტეტი, სტატისტიკის პოლიტეკონომიის სპეციალობით.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. უფროსი ქალიშვილი ექიმი-სტომატოლოგი გახლავთ, ჩემი ვაჟი-ლევანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მუშაობს, სპორტსმენია. მოგეხსენებათ, ოთხგზის მსოფლიო და ექვსგზის ევროპის ჩემპიონია. ახლახანს ბრწყინვალედ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა. ამერიკაში აპირებს დოქტურანტურაზე სწავლას. მეუღლე დიასახლისი გახლავთ.

2) საერთოდ, მინდა გითხრათ: ამ კანდიდატურის დაყენებაზე უარს გახლდით. ვთვლიდი, რომ სინაგოგისთვის დახმარების გაწევას ამის გარეშეც შევძლებდი. თუმცა, მას მერე, რაც გავეცანი ბეით ქნესეთის პრობლემებს, გადავწყვიტე, არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო.

ამასთან დაკავშირებით, არჩევნებამდე ორი თვით ადრე დავიწყე ხალხთან შეხვედრა, უფრო დეტალურად გავეცანი სალოცავის მდგომარეობას, მქონდა შეხვედრა თემის რიგით წევრებთან. გავუზიარე მათ ჩემი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი გაბაიდ ჩემი არჩევის შემთხვევაში და ვფიქრობ, სწორედ ამან განაპირობა ჩემი ასეთი მხარდაჭერა.

ჩემს გარდა, კიდევ ორი კანდიდატურა იყო. მესამემ გარკვეული მიზეზების გამო, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ჩემი აზრით, მათ უბრალოდ არ ჰქონდათ საშუალება კარგად გასაუბრებოდნენ ამომრჩევლებს და განემარტათ თავიანთი სამომავლო გეგმები. ალბათ, ეს არის ჩემი, როგორც თქვენ ახსენეთ, დამაჯერებელი გამარჯვების მიზეზი.

3-4) ბოდიშს გიხდით, თავს შევიკავებ ამ კითხვებზე პასუხის გაცემისგან, რადგან ჯერჯერობით ბევრი რამ დაზუსტებული არ არის, ამიტომ არ მინდა არაზუსტმა ინფორმაციამ ხალხში გაუგებრობა გამოიწვიოს. პრობლემები, რასაკვირველია, არის და მათზე ცოტა მოგვიანებით გაგესაუბრებით.

5) მე მაქვს ჩაწერილი, ასე ვთქვათ, 35 ძირეული საკითხი, რომელიც მოსაგვარებელია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებიც სალოცავში მოდიან. ჩემი დიდი სურვილია ჩვენ ყველა ერთ ოჯახად ვიქცეთ და თითოეულის გასაჭირი და პრობლემა ყველამ, ერთიანი ძალებით გადავჭრათ. ჩვენი ერთობით კი თავისთავად გაიზრდება გაჭირვებულთათვის განკუთვნილი დახმარება. სამწუხაროდ, დღეს 70 გაჭირვებული ოჯახის სია მაქვს. გაბაის, გამგეობის ფუნქციაა სწორად დასახოს გეგმა, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ გაჭირვებულს დაეხმაროს. ყველანაირად ვეცდები მიზანმიმართულად და საჭიროდ გამოვიყენო ყველა ის თანხა, რაც შემოვა, იქნება ეს მეცენატებისა, თუ სხვა ნებისმიერი ადამიანისაგან გაწეული დახმარება.

6. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი განზრახვა მართლაც არსებობს. თუმცა ეს მხოლოდ საუბრის დონეზეა ჯერჯერობით.

მე, რა თქმა უნდა, მივესალმები ყველანაირი დახმარების წამოწყებას, მაგრამ ვთვლი, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას ამ სალოცავის ასაკი. თუკი დამფინანსებელთან შეთანხმდებით სალოცავის პირვანდელი სახის შენარჩუნებაზე, რა თქმა უნდა, ასეთ წამოწყებაზე უკეთესი რა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, მადლობის გარდა, არაფერი გვეთქმის.

7. მოგახსენებთ, წინა გამგეობა თავიდან ბოლომდე შეიცვალა, ვგულისხმობ გამგეობის წევრებს. გამგეობის ყოველი ახალი წევრი გახლავთ ახალგაზრდა ბიზნესმენი — ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ ჩვენს თემზე, მათ პრობლემებზე. მე სასიკეთო ცვლილებების მომხრე გახლავართ და თუ ასეთი ნოვაციებისა, თუ ცვლილებების შემოთავაზება იქნება, მე მხოლოდ მოხარული დავრჩები. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ რელიგიურ და ტრადიციების საკითხს.

8. პირველ რიგში ვეცადე გამგეობის წევრები ჯამაათისთვის მისაღები და საპატივცემულო პიროვნებები ყოფილიყვნენ. ეს ადამიანები სალოცავს ისედაც უწევდნენ დახმარებას, არცთუ ისე მცირე თანხით, სხვადასხვა შემოწირულობებით, თუმცა, ასე ვთქვათ, ჩრდილში იდგნენ და ასე აკეთებდნენ ამ კეთილ საქმეს. მე მივიღე გადაწყვეტილება, იმისთვის, რომ არ ყოფილიყო ზედმეტი ეჭვები ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, თავად ის ადამიანები გამხდარიყვნენ გამგეობის წევრები, რომლებიც აფინანსებდნენ და მხარში ედგნენ სალოცავს. ვფიქრობ, ასეთი გამჭვირვალე ტიპის დახმარება, ბევრად უფრო ეფექტურია. სალოცავს, რა თქმა უნდა, კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი ეხმარება, რაც ვთვლი აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

ჯამაათს წინასწარ წარვუდგინე ეს ადამიანები და ნებისმიერი პიროვნების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში, ასეთ წევრს გამგეობაში არ მივიღებდით. თუმცა, ასეთი არაფერი მომხდარა, რადგან შვიდივე გახლავთ ჩვენი ერის ღირსეული წარმომადგენელი, ენერგიული, კეთილი საქმის გამკეთებელი პიროვნება, რომლებსაც აქვთ საკმაოდ კარგი კავშირები საქართველოს საზღვრებს გარეთაც და იმედი გვაქვს, რომ სწორედ მათი დახმარებითაც მოვახერხებთ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას. უმთავრესი ჩვენი ამოცანა კი გაჭირვებულების დახმარებაა. ჩემი სურვილია საერთოდ არ გვყავდეს თემში გაჭირვებული ადამიანი.

ჩვენი გამგეობის წევრები გახლავთ: ყუბელების დიასპორის წარმომადგენელი — ბ-ნი ნისან იუსუბოვი, რომელიც ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, ასევე გურამ გურიელი, მამუკა ჯანაშვილი, დავით ხახიაშვილი, შალვა კრიხელი, მიშა ფიჩხაძე, გია გორელაშვილი.

მოამზადა ლიდია ხომენკომ

(მეორე გვერდიდან)

მე იოსებ მიხელაშვილი „ხესედის“ დახმარებით თავიანთი ავტომანქანით ჩამომიყვანეს საირმეში დასასვენებლად. მომაწყვეს პანსიონატ „ოაზისში“. ჩემს აივნიდან მოჩანდა ცადაზიდული მთები. მოჩუხჩუხე მდინარე, მორაკრაკე ნაკადულის წყლები, მთებს შუა ჩამოწოლილი მზე ერთი სიტყვით, ისეთი პეიზაჟები ვნახე, ალბათ, ძლიერ მხატვრებსაც კი გააოცებდა.

რაც შეეხება კვებას, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო საკვები უხვად და მრავლად მოჰქონდათ. ეს ყველაფერი ჩუმად წყნარად და უპრეტენზიოდ ხდებოდა.

სუქოთში გაკეთდა სუქა. ყველა დამსვენებელმა, აკურთხა ლულაბ-ეთროგი, აკურთხა კიდუში, ხილი, ამოცი იქნა შესრულებული ბერახა, თორის სიმღერები და მრავალი ანთებული სანთლები დიდ სილამაზეს და სიხარულს გვანიჭებდა.

მიშა ექიმი დიდ ყურადღებას მაქცევდა. ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ. დაუზარებელ რჩევა დარიგების მოცემაში. სართულიდან სართულზე ადიოდა ავადმყოფთან დაუზარებლად. რაც შეეხება ქალბატონ ლალის, ბევრი კარგი ღონისძიება ჩაატარა. სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, მოაწყო საღამოები, გვაჩვენა კარგი ფილმები, ყველანაირად მონდომებული იყო დამსვენებლებისათვის კარგი განწყობა შეექმნა. ნატაშა ჩვენს აქაურ ყოფას თვალყურს ადევნებდა და სამახსოვრო სურათებს გვიღებდა. ერთი სიტყვით, კვება, მომსახურება, სამედიცინო — ყველანაირი ყურადღება, დასვენება და გართობა უმაღლეს დონეზე ჩატარდა.

„ხესედის“ უფროსი რეზო შათაშვილი ჩვენთან იყო, დამსვენებლებს ყურადღება რომ არ მოკლებოდა. თავის ორგანიზატორული ნიჭით და წინდახედულობით ყველაფერი უპრობლემოდ მოაგვარა. ნათქვამია: საქმენმა შენმა შეაჩინოს შენა, ფაქტია ჩანს კიდეც.

მადლობა ღმერთს, მადლობა „ხესედს“, მადლობა იმ ხალხს, ვინც ეს პირობა შეგვიქმნა.

ქ. თბილისის „ხესედის“ სამეურვეო პირის ნოდარ აბრამიშვილის შთაბეჭდილებები კურორტ საირმეში „ოაზისში“ ყოფნის დროს.

უაღრესად პატივცემულო **რევაზ მიხეილის** – ძევ, თქვენ და ძვირფას კოლექტივს:

1) **ჯანაშვილი მიხეილი**, 2) **შელკუნოვა ელენე**, 3) **ზასლავსკაია ნატალია**, 4) **მიხელაშვილი თეა**, 5) **ლალი დავითაშვილი**.

უპირველეს ყოვლისა, ენით აუწერელი მადლობა იმ გაწეული დიდი შრომისათვის, რომ იზრუნეთ ჩვენი დასვენებისათვის კურორტ „ოაზისში“. გაკვირვებული ვარ რევაზ მიხეილის-ძევ, როგორ შევძელით თქვენი ხელმძღვანელობით, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამოსული სამეურვეო პირთა გაცნობა, მეგობრულად და ურთიერთგაგებით მოგვეხერხებინა კარგად დასვენება და დამეგობრება, რომელიც გაგვყვება მთელი ცხოვრების მანძილზე, დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს ხელმძღვანელობას ვინც დაგვაფინანსა და მადლობა, რომ თქვენ და თქვენი კოლექტივი ზრუნავთ ჩვენზე და ჩვენს ოჯახებზე. ეს იყო ლამაზი და დაუვიწყარი დღეები და დასვენება. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა ყველას ჩვენზე გაწეული უანგარო შრომისათვის.

პატივისცემით ნოდარ აბრამიშვილი

როშ ჰაშანიდან როშ ჰაშანამდე

როგორ ვცხოვრობდით 2009-2010 (5769 - 5770 წლებში)

სექტემბერი

6 სექტემბერს ისრაელში, აშდოდის ცენტრალურ უბანში ქართველ ებრაელთა ახალი ბეით ქნესეთი გაიხსნა. ეს დიდებული ბეით ქნესეთი ქალაქის ქართველ ებრაელობას იცხაკ (ისაია) ნანიკაშვილის ოჯახმა აუშენა — აბრამ ნანიკაშვილის მეთაურობით.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა სემკის ვიცე-პრეზიდენტი აბრამ ნანიკაშვილი, რომელმაც შეკრებილთ ამცნო, რომ ახალ ბეით ქნესეთში სემკ-ი იწყებს ახალ პროექტს: ბავშვთა და მოზარდთა თორის შემსწავლელი წრეების მუშაობას.

„მენორა“ აქვეყნებს მირიამ ბერენის, მეირ ხანანის, ნინო ჩირიკაშვილის, თამარ კრიხელის წერილს „შემოდგომის დღესასწაულები კაბალის შუქზე“, რომელშიც საუბარია შემოდგომის ებრაულ დღესასწაულებზე, სუქოთისა და სიმხათ თორის დღესასწაულების სულიერ არსზე.

რუბრიკაში „საქართველოს ებრაული თემის ყოველდღიურობა“ იბეჭდება საუბარი ონის ბეით ქნესეთის გაბაისთან ბ-ნ მიხეილ ხახიაშვილთან.

29 სექტემბერს ებრაულ სახლში გაიმართა მუსიკალურ პოეტური საღამო ციკლიდან „ფიზიკოსები და ლირიკოსები“, რომელზეც შედგა თამარ კონსტანტინოვსკაიას ლექსების წიგნის „წვიმის მელოდია“ პრეზენტაცია. საღამოს ნათან ბააზოვი უძღვებოდა.

ოქტომბერი

1 ოქტომბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში აღინიშნა სუქოთის დღესასწაული. მის ეზოშივე დაიდგა „სუქა“ და ღონისძიება სწორედ ეზოში ჩატარდა. სტუმრებს სუქოთის დღესასწაული მიულოცეს საქართველოს რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლატმა, საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა. გაიმართა „ჯოინთის“, თბილისის ებრაული სათემო სახლსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ახალი პროგრამების პრეზენტაცია. მოეწყო ირაკლი დავარაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა და აუქციონი, ხოლო შემოსული თანხა მთლიანად საბა ყორანაშვილს გადაეცა — ბავშვს, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

რუბრიკაში „ვიცნობით საქართველოს ებრაელობას?“ — საქართველოს ებრაელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დავით შიმშილაშვილი გვესაუბრება.

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს ბ-ნ ელდარ მამისთვალიშვილს დაბადების 70 წლის იუბილე პროფესორმა, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბ-ნმა გურამ ლორთქიფანიძემ მიულოცა.

რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მთარგმნელი და პოეტი ნათან ბააზოვი, საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის კულტურული თანამშრომლობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, ერებს შორის მშვიდობისა და თანამეგობრობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის „სახალხო მემკვიდრეობის“ ორდენით დააჯილდოვეს.

„მენორას“ ფურცლებზე ისრაელში გამომავალი ჟურნალი „დროშის“ მთავარი რედაქტორის ხაიმ სუბელაშვილის 75 იუბილესადმი მიძღვნილი ბესო მიხელაშვილის წერილი იბეჭდება.

„მენორას“ ყოველ ნომერში იბეჭდება საქართველოს მთავარი რაბინის არიელ ლევინის რუბრიკა, რომელშიც ყოველი კვირის საკითხავი თავია წარმოდგენილი.

საგანმანათლებლო ცენტრმა „თიფერეთ ცვიმ“ და ქოლელ კლუბმა „მიშფახა“ საროშაშანოდ საქართველოს თემს — 5770 წლის კალენდარი მოუმზადა. 2009-2010 წლის საახალწლო კალენდრები ასევე გამოსცეს „სოხნუთმა“, „ჯოინთმა“ და თბილისის ებრაულმა სათემო სახლმა, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა.

აშშ ებრაელთა გამავრცელებელ-საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჯოინთის“თბილისის ოფისის ახალ ხელმძღვანელად ბ-ნი ზურაბ დავითაშვილი დაინიშნა.

8 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის კულტურის, სოციალური დაცვისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა ისრაელიდან ჩამოსულ სტუმრებს: იერუსალიმის ბენ-ცვის სახ. ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ იომ ტოვ ასისს, არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორს, პოეტსა და პროზაიკოსს ორციონ ბართანას და პროფესორ რუბენ ენოხს (ენუქაშვილს) შეხვდა და პროექტ „წინაპართა ნაკვალევის“ შესახებ ესაუბრა.

18 სექტემბერს მთავრობის განკარგულებით შეიქმნა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს პროფესიული განათლების კავშირისა და პროექტ - „პროფესიული მომზადება-დასაქმებისთვის“ ხელმძღვანელი ბ-ნი დენის დავითაშვილი.

„მენორა“ აქვეყნებს ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებს — „მსოფლიო პოეტური საგანძურიდან“.

იბეჭდება პროფესორ რუბენ ენოხის (ენუქაშვილის) „მეგობრობის ნიშნები ანუ ორნაწილიანი სტუმრობა საქართველოში“.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ებრაელი პოეტის, პროზაიკოსის, ლიტერატურის მკვლევარის ორციონ ბართანას ლექსების კრებულის „საიდუმლო ნიშნების“ ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის წარდგინებაზე ორციონ ბართანას ლექსებზე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე ვრცლად ისაუბრეს ქ. არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორმა ბ-ნმა რუბენ ენოხმა, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იცხაკ გერბერგმა, იერუშალაიმის ბენ-ცვის სახელობის ებრაულ დიასპორათა ინსტიტუტის დირექტორმა და პროფესორმა იომ ტოვ ასისმა, მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, თსუ-ს პროფესორმა, ებრაისტმა, მთარგმნელმა მამუკა ბუცხრიკიძემ, პროფესორმა, ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარემ ინესა მერაბიშვილმა.

9 ოქტომბერს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი მასპინძლობდა პროფესორებს ბ-ნ იომ ტოვ ასისს და ბ-ნ რეუვენ ენოხს. სტუმრებმა და მუზეუმის დირექტორმა ბ-ნმა გივი ღამბაშიძემ გამოთქვეს სურვილი ისრაელსა და საქართველოს სამეცნიერო ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე და დასახეს მომავალი თანამშრომლობის გეგმები.

22 ოქტომბერს, ქ. თბილისის გლდანის ძიუდოს სკოლაში გაიმართა საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობა ძიუდოში, რომელზეც ალეკო ბაზაზაშვილმა 46 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა.

29 ოქტომბერს ებრაულ სახლში ებრაულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა, პროგრამა „ებრაულმა მემკვიდრეობამ“ ნათან ბააზოვის ორგანიზებით მოაწყო შეხვედრა: „ჩემი მოგონებები ცნობილ ფიზიკოსებზე.“

31 ოქტომბერს თბილისის საზოგადოებამ გამოჩენილი მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის საფლავთან ყვავილები მიიტანა. ამ დღეს იგი 54 წლის შესრულდებოდა.

ნოემბერი

სეფერთორის შებრძანება გორში

1 ნოემბერს თბილისის აშქენაზ ებრაელთა ბეით ქნესეთში საქართველო – ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის — მოშე (მიშიკო) მირილაშვილის დაბადების დღე აღნიშნა. სიტყვები წარმოსთქვეს: საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა; საქართველოს ყოფილმა ელჩმა ისრაელში, შემდეგ სომხეთში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ; საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენ-დირექტორმა ჯემალ აჯიაშვილმა; საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარემ, გურამ ბათიაშვილმა; პროფესორმა გივი წიწუაშვილმა; საქართველოს ყოფილმა დესპანმა ისრაელში, იურისტმა ანზორ ბალუაშვილმა; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლელა წიწუაშვილმა; ბიზნესმენმა რამინ იაკობაშვილმა, „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორმა ბ-ნმა რევაზ შათაშვილმა, ბიზნესმენმა სოსო აჯიაშვილმა და რობერტ მიხელაშვილმა.

რუბრიკაში „ვიცნობთ საქართველოს ებრაელობას?“ „მენორას“ სტუმარი თსუ-ს ასტროფიზიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში პლაზმის ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ქ-ნი — ნანა შათაშვილი გახლდათ.

„მენორამ“ გამოაქვეყნა ქ-ნ იზოლდა კრიხელის წერილი პოეტ ქალბატონზე — ნანა დავარზე.

12 ნოემბერს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა ქართულ-ებრაული ურთიერთობის საღამო, რომელზეც საქართველოს დამსახურებული არტისტი პალიკო ნოზაძე გახლდათ მიწვეული. ბ-ნმა პალიკომ მონო სპექტაკლი „საუკუნის კაცის აღსარება“ წარმოადგინა.

9,10,11 ნოემბერს თბილისის ებრაულ სახლში ჩატარდა სემინარი „საქართველოში ხესედების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები“. სემინარს ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები: „ჯოინთის“ რუსული განყოფილების სოციალური პროგრამების დირექტორი იერუსალიმში შოშ ლევავი და „ჯოინთის“ სოციალური პროგრამების კონსულტანტი იერუსალიმში ანა შტრომი უძღვებოდნენ.

28 ნოემბერს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში გაიმართა პროფესორ რევაზ გაჩეჩილძის წიგნის ,,ჩემი XX საუკუნე” წარდგინება.

იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი კოტე ლერნერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახლდათ მიწვეული, სადაც ლექციებს ატარებდა, მან საზოგადოებას თავისი ბოლო წიგნი „Евреи Грузий“ წარუდგინა.

საქართველოს პირველი ლედი ქ-ნი სანდრა რულოვსი ისრაელში იმყოფებოდა, სადაც ქნესეთის წევრებს შეხვდა, დაესწრო ხაიფაში რამბამის ჰოსპიტალში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ ორგანიზებულ სემინარს გადაუდებელი პირველადი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით, ხაიფის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია თემაზე - ,,საქართველოს დემოკრატიული განვითარება და მიმდინარე რეფორმები”. ქალაქ ბეერ შევაში დაესწრო კლასიკური მუსიკის საღამოს, სადაც სხვა კომპოზიტორებთან ერთად ცნობილი ქართველი ებრაელი კომპოზიტორის – იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოები შესრულდა.

24 ნოემბერს სახალხო დამცველის ოფისში ჩატარდა მრგვალი მაგიდა მიძღვნილი ,,16-დღიანი კამპანიისადმი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ.“

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტს, აკადემიკოსს როინ მეტრეველს 70 წლის იუბილეს გურამ ბათიაშვილი ულოცავს.

დეკემბერი

„მენორას“ მკითხველს ხანუქის დიდი დღესასწაულის დადგომას საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი და საქართველოს მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეხ როზენბლატი ულოცავენ.

14-17 დეკემბერს ბერლინში გერმანიის ებრაული თემების კავშირის და რუსულენოვან ებრაელთა კონგრესის საერთაშორისო კონფერენცია „მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის გაკვეთილები“ ჩატარდა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული გამოჩენილი ებრაელი მეცნიერი, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი მსოფლიოს 25 ქვეყნიდან. კონფერენციის მისალმება გერმანიის, ისრაელის, ბელორუსიის, რუსეთის, ნიუ-იორკისა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებმა გამოუგზავნეს. მოხსენებით „ჰოლოკოსტ და მხატვრული ლიტერატურა — პოლიტიკოსნი, თუ შემოქმედნი? — მწერალი, დრამატურგი გურამ ბათიაშვილი გამოვიდა.

საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნის — გივი ორჯონიკიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ისრაელიდან იოსებ ბარდანაშვილი მიიწვიეს. შესრულდა მისი ნაწარმოები.

9 დეკემბერს იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი კოტე ლერნერი ებრაულ სათემო სახლს

ეწვია. კ. ლერნერმა საქართველოში ებრაელობის დამკვიდრების საკითხებზე ისაუბრა. მისი აზრით, ებრაელობა საქართველოში მოვიდა მესამე-მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე.

13 დეკემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში აღინიშნა ხანუქის დღესასწაული და გაიხსნა ებრაული წიგნის მე-13 ფესტივალი.

17 დეკემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში ხანუქის დღესასწაულთან ერთად ჩატარდა ებრაული განათლებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც იმყოფებოდნენ როგორც ისრაელის საელჩოს წარმომადგენლები, ასევე საქართველოს მოქმედი ებრაული სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

რუბრიკის „ვიცნობთ საქართველოს ებრაელობას?“ სტუმარი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა განყოფილების ხელმძღვანელი, ბ-ნი გივი წიწუაშვილი.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა და პროზაიკოსმა ვანო ჩხიკვაძემ გამოსცა წიგნი „დასავლეთის ფანჯარა“. ამ წიგნში არის ეპიზოდი, სადაც მოყვანილია ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითი.

პროფესორი რუბენ ენოხი სახელგანთქმული მეცნიერის — კორნელი დანელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას ეწვია თბილისში.

15 დეკემბერს თბილისის ებრაულ სახლში ექვთიმე თაყაიშვილის კულტურულ-სამეცნიერო საქველმოქმედო ცენტრმა, ფაზისის მეცნიერების და კულტურის აკადემიამ და ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა ჩაატარა ექვთიმე თაყაიშვილისა და იოსებ ელიგულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელზეც ქართულ-ებრაულ თემატიკაზე სხვადასხვა მოხსენებები წარადგინეს.

ნიუ-იორკში გამოიცა ისაკ (ირაკლი) კრიხელის „დასაბამიდან მოაქჟამამდე“-ს (ლიტერატურულ-შემეცნებითი ნარკვევები) პირველი წიგნი.

„გიზნეი ჰანაშიმ“-ს ერთი წელი შეუსრულდა. რებიცინ იულია როზენლატის ძალისხმევით და დახმარებით შექმნილი და მოქმედი ქალთა თორის შემსწავლელი ჯგუფი თავის ხელმძღვანელთან ქ-ნ ჟუჟუნა (სიმხა) გაზნელი — მდინარაძესთან ერთად აღნიშნავს ამ თარიღს.

დეკემბერში თბილისის აღ. გრიბოედოვისა და თავისუფალი თეატრის ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი და შ. რუსთაველის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი ისრაელში „ისრაელ დრამის“ ფესტივალზე იმყოფებოდნენ. „მ“. იბეჭდება ა. ვარსიმაშვილის საუბარი, სადაც ისრაელის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

24 დეკემბერს ამერიკიდან ჩამოსულმა რაბინელებმა თბილისის აშკენაზთა სინაგოგის საჩუქრად სეფერთორა ჩაუტანეს.

„მენორა“ პროფესორ შოთა ბოსტანაშვილის ლიტერატურულ ოპუსს „(ყ)ივრი ვარ-ჰურიაია“-ს აქვეყნებს.

დეკემბერში მოსკოვის ქართველ-ებრაელთა სტუმარი ისრაელის აშკენაზ ებრაელთა მთავარი რაბინი იონა მეცგერი გახლდათ. პირველი შეხვედრა ძმებ ელაშვილებისა და რომან შამილაშვილის მეოხებით შექმნილ ბეით ქნესეთ „იცხაკის კარავში“ გაიმართა.

იანვარი

„ჯოინთის“ საქართველოს წარმომადგენლობამ „მენორას“ 2010 წლის დაფინანსებაზე ჯერ უარი თქვა, ხოლო შემდეგ ისეთი თანხა შესთავაზა გაზეთს, რაც „მენორას“ გამოცემას შეუძლებელს ხდიდა. გაზეთი სიცოცხლეს მაინც განაგრძობს.

„მენორა“ საქართველოში დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი ხდება.

ქართველი ებრაელობა ევრ-აზიის ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ბიულეტენის ფურცლებზე ხვდება 2009 წლის 15 სექტემბერს თბილისის აშკენაზთა გაერთიანებული ბეით ქნესეთის გახსნისა და 2009 წლის 17 სექტემბერს აშდოდის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში — „ორ იცხაკი“ ეაე კონგრესის მიერ ახალი სეფერ თორის შებრძანების ინფორმაციით.

14 იანვარს თბილისის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართულ ქართულ თეატრის დღეს და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 100-წლოვან იუბილეზე კოტე მარჯანიშვილის სახ. პრემია მწერალსა და დრამატურგს გურამ ბათიაშვილს — ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მაღალპროფესიულ დონეზე რედაქტორობისათვის მიენიჭა.

რუბრიკაში „ვიცნობთ საქართველოს ებრაელობას?“ „მენორას“ სტუმარი მსოფლიოში ცნობილი ვირტუოზი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილია.

ყოველთვიურ საერთაშორისო მიმოხილვაში, რომელსაც საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი თემურ იაკობაშვილი უძღვება, საუბარი საქართველოს სამ პრიორიტეტულ მიმართულებაზე წაიყვანა.

31 იანვარს თბილისის ებრაულ სათემო სახლში „ტუ ბი შვატი“ აღინიშნა. ღონისძიება თბილისის ებრაული სათემო სახლის, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის, კლუბ „26 საუკუნის“ თაოსნობით ჩატარდა.

„სოხნუთის“ — ებრაული სააგენტო ისრაელისათვის თბილისის წარმომადგენლობის ახალ ხელმძღვანელად ბ-ნი ავი ოფრი დაინიშნა.

თებერვალი

გიორგი, მერაბ ელაშვილმა და რომან შამილაშვილმა ისრაელში ვიზიტის დროს ბენ-იაკის დასახლება-ინტერნატს, რომელიც „სოხნუთის“ ეგიდით არსებობს, საჩუქარი სოლიდური თანხის სახით გადასცეს.

გამოვიდა წიგნი „ყოველდღიური ლოცვები, შაბათის სიმღერები“.

„მენორა“ და საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია გულითადად ულოცავს ბ-ნ ბორის აბრამიშვილს 70 წლის იუბილეს.

„მენორას“ საშუალებით საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი არიელ ლევინი და საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეხ როზენბლატი ებრაულ საზოგადოებას ფურიმს ულოცავენ.

18 თებერვალს „სოხნუთში“ გაიმართა „სოხნუთის“ ახალი ხელმძღვანელი ბ-ნ ავი ოფირისა და საქართველოს ებრაული ორგანიზაციების, ებრაული თემის წარმომადგენლების ოფიციალური გაცნობა.

მწერალს, დრამატურგს გურამ ბათიაშვილს კოტე მარჯანიშვილის სახ. პრემიის მინიჭებას ულოცავენ ეაეკას პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი, ეაეკ-ის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი და ეაეკას შემსრულებელი ვიცე-პრეზიდენტი იური რასკინი.

19 თებერვალს ქალთა ორგანიზაცია „კეშერის“ ორგანიზებით თბილისიდან გორის სინაგოგაში იერუსალიმიდან ჩამოტანილი სეფერ თორა შეაბრძანეს. სეფერ თორა იერუსალიმიდან სიმხა გოლდშტეინის ოჯახმა ჩამოიტანა.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში ჩატარდა „ტუ ბი შვატის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებში დარგეს ორი ხე ხეთა დარგვა მოეძღვნა, ასევე საქართველოს-ისრაელის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

„მენორა“, სემკ-ის გენერალური დირექტორი ჯ. აჯიაშვილი, სპორტული კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩაჩანაშვილი მოჭადრაკე რ. კაკიაშვილის 85 წლის იუბილეს ულოცავენ და წარმატებას უსურვებენ.

თვითმყოფადი ხელოვანის მხატვრის მიერ ფიჩხაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იბეჭდება იოსებ ბარდანაშვილის წერილი და „ჰაარეცში“ გამოქვეყნებული გურამ ხარაზის მიერ თარგმნილი სტატიები.

21 თებერვალს ისრაელში ევრ-აზიის კონგრესის (ეაეკას) პრეზიდენტის ალექსანდრე მაშკევიჩის სამუშაო ვიზიტის დროს ზაკას სამეურვეო საბჭოს ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, წარმატებულ ბიზნესმენს და მეცენატს მიხეილ (მიხო) მირილაშვილს ეაე კონგრესის მედალი გადასცა. საღამო გაეროს „ზაკას“ — საერთაშორისო მოხალისე ჰუმანიტარულ ორგანიზაციად აღიარებას მიეძღვნა.

„მენორა“ აქვეყნებს სტატიების ციკლს რუბრიკით „რა ხდებოდა საქართველოს ებრაელობაში 1970 წლის მარტში?“ რომელშიც ასახულია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა სიონიზმთან.

მარტი

4 მარტს ისრაელის ქ. ლუდში, სადაც სემკ-ის პირველი პრეზიდენტი მ. მირილაშვილი გახლავთ დაკრძალული, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები, სახელმწიფო, რელიგიური მოღვაწენი. ყველამ დიდი პატივით აღნიშნა ამაგდარის გარდაცვალების მეთერთმეტე თვე.

4 მარტს თბილისის ებრაულ სათემო სახლში მოეწყო შეხვედრა ცნობილ ვირტუოზთან, მსოფლიოში აღიარებულ გიტარისტთან — თემურ ყვითელაშვილთან. შესრულებული ნაწარმოებები მან დედას — ქ-ნ. ციალა ყვითელაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

პროფესორი ზურაბ კიკნაძე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი ელდარ მამისთვალაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ გაჩეჩილაძე, ისრაელში საქართველოს ყოფილი ელჩი ლაშა ჟვანია; ისტორიკოსი, ჟურნალისტი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი თამაზ ყიფიანი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ნონეშვილი, პროფესორი რეუვენ ენოხი მწერალი, დრამატურგი გურამ ბათიაშვილი, ბ-ნ შალომ დავიდს ებრაელი ერის ღირსეულ შვილს, მწერალს, მთარგმნელს და მეცნიერს — 70 წლის იუბილეს ულოცავენ.

9-16 მარტს ისრაელის საელჩომ საქართველოში თბილისის კინოს სახლში გამართა თანამედროვე ისრაელის მხატვრული ფილმების ფესტივალი, სადაც მაყურებელს საშუალება ჰქონდა ისრაელის თანამედროვე კინემატოგრაფიას გაცნობოდა.

18 მარტს თბილისის სათემო სახლში ქალთა შეხვედრა გაიმართა, რომელსაც აგრეთვე ოსი, პოლონელი, ბულგარელი ქალბატონებიც ესწრებოდნენ. ასევე: ქ-ნი რუსუდან კერვალიშვილი, ისრაელის კონსული საქართველოში მ. კალი და სხვა არაერთი ცნობილი ქალბატონი.

საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი და საქართველოს მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეს როზენბლატი „მენორას“ მკითხველს ფესახს ულოცავენ.

27 მარტს ჯამაათის წევრის — თემურ მდინარაძის ინიციატივით ბეით ქნესეთში გაიმართა საჯამაათო კრება, რომელზეც განიხილეს ახალი გამგეობის და გაბაის არჩევნების საკითხები.

31 მარტს იერუსალიმში საქართველოს მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების პირველ წლისთავთან დაკავშირებით მოშე (მიშიკო) მირილაშვილის ოჯახმა სემკ-ის ორგანიზებით ქოთელის ბეით ქნესეთში სეფერთორა შეაბრძანა.

„მენორა“ დაბადების 80 წლისთავს ულოცავს თბილისის ებრაული თემის ღირსეულ წევრს ისაკ დავარაშვილს.

აპრილი

2 აპრილს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა საფესახო სედერი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ „ხესედ ელიაჰუს“ სამეურვეო პირები, თბილისის ჯამაათის წევრები.

რუბრიკაში „ვიცნობთ საქართველოს ებრაელობას?“ ნიუ იორკში და ფრანკფურტში მაღალი მოდის საერთაშორისო კონკურსის — „ოქროს ვარსკვლავის“, ბელორუსიაში გრან-პრის „ნიკეს“ მფლობელს, არაერთი კონკურსის ლაურეატს აბრამ ბაზელს წარმოგიდგენთ.

„მენორა“ აქვეყნებს „დიდი მხატვარ-პრიმიტივისტის“ შალომ კობოშვილის მეთერთმეტე მცნებას, სადაც მისი ცხოვრებაა აღწერილი.

გამოვიდა დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომების მეექვსე ტომი.

2 აპრილს ხაზანმა დავით აზიზოვმა გამგეობის დავალებით საჯამაათო მადლობა გამოუცხადა ილია მოსიაშვილს, თემურ დათიკაშვილს, იოსკა მამისთვალოვს (ისრაელი), დავით კოჟიაშვილის (ბელგია) ებრაელთა ბეით ქნესეთისათვის უანგარო დახმარებისათვის.

15 აპრილს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ ისრაელის დამოუკიდებლობის 62-ე წლისთავს ულოცავს დიასპორის ებრაელობას.

ისრაელის სახელმწიფოებრიობის 62-ე წლისთავი თბილისში სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა. დღესასწაულზე მოსალოცად საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის წევრები, პარლამენტარები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თუ ეკლესიის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეკრებილთ მიესალმა და მიულოცა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა.

11 აპრილს ახლადგახსნილ „ევროპის სახლში“ გაიმართა ებრაული სააგენტო ისრაელისთვის „სოხნუთისა“ და ებრაული ახალგაზრდული ფონდის „ჰილელი-თბილისის“ ერთობლივი ღონისძიება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა კატასტროფის დღეს მიეძღვნა.

19 აპრილს კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოეწყო ყოველწლიური საზეიმო შეხვედრა მიძღვნილი „მაშავისა“ და ამ პროგრამის მონაწილეებისადმი. ღონისძიება საქართველოში ისრაელის საელჩოსა და პირადად ბ-ნი ელჩის იცხაკ გერბერგის თაოსნობით ჩატარდა.

რუბრიკაში „ვიცნობთ საქართველოს ებრაელობას?“ წარმოდგენილია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი თემურ იაკობაშვილი.

„მენორას“ შეკითხვებს ჯამაათის ღირსეული წევრი რამინ იაკობაშვილი პასუხობს.

მაისი

„მენორა“ წარმოგიდგენთ ა. მამისთვალოვის სტატიას „როგორ იბადებოდა ისრაელის სახელმწიფო“.

გურამ ბათიაშვილის წერილი მიძღვნილი მიხეილ (მიხო) მირილაშვილის 50 წლის იუბილესადმი.

„სოხნუთის“ საქართველოს წარმომადგენლობამ „ულპანის“ 18 წლისთავი აღნიშნა.

ევრ-აზიის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, კომპანია „ვიმმ-ბილ-დანნ“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით იაკობაშვილი კლუბური საზოგადოების მორიგ შეხვედრაზე მთავარ გმირად წარსდგა.

„მენორას“ ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა ადინ შტეინზალცის სტატიები. ახლა კი იბეჭდება „ლოცვა“, რომლის თარგმანზე ქ-ნმა ეთერ თოფჩიაშვილ-გიგინეიშვილისამ იზრუნა.

„ძეგლი დავიდგი, ხელთუქმნელი უნეტარესი...“

31 ოქტომბერს ბადრი პატარკაციშვილი 55 წლის ბახდებოდა

ბადრი პატარკაციშვილის დაკრძალვის დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს – ილია მეორეს გვერდიდან არ ვშორდებოდი. ვგრძნობდი, რომ მას ძლიერ აინტერესებდა და მეც ვუხსნიდი, განვუმარტავდი ებრაული ტრადიციის ცალკეულ დეტალებს, მიცვალებულის გასვენებას რომ ახლავს თან. იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მიცვალებულის გაპატიოსნების პროცესს. შესაძლოა, ვცდებოდე, შესაძლოა, ეს მხოლოდ ჩემი შეგრძნება იყოს და სხვა არაფერი, მაგრამ იმ წუთებში მეჩვენებოდა, რომ ეს ბრძენკაცი იმას აკვირდებოდა, აფიქსირებდა, თუ რა არის საერთო იუდაისტურ და ქრისტიანულ ტრადიციაში, თუ რა გადმოვიდა ახალი ღმერთის მიმდევართა წეს-ჩვეულებაში.

ბატონი ბადრი პატარკაციშვილი თავისსავე სასახლის ეზოში დაკრძალეს. მიცვალებული რომ ააბრძანეს, ვიდრე საფლავთან მიასვენებდნენ, სასახლის უზარმაზარი ეზო შემოატარეს. ერთგან შეჩერდნენ კიდეც, იქ გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს. უწმინდესმა კი იმ ადგილას მისვლა ინება, სადაც ბ-ნი ბადრი უნდა დაეკრძალათ. გავყევი. ველოდით, თუ როდის მოასვენებდნენ მიცვალებულს. რეპროდუქტორში ჟღერდა სამგლოვიარო მუსიკა, მოსთქვამდა გუნდი, მერე გაისმა საპატრიარქოს გუნდის „დავიღალე, დავიღალე, მოდი, ჩემთან უფალო!“ ვიცოდი, რომ ეს გალობა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შეჰქმნა.

„დავიღალე, დავიღალე, მოდი, ჩემთან უფალო!“, რომელიც დავითის ფსალმუნებში იღებს სათავეს, ლამის უსასოოდ დარჩენილი კაცის მოთქმაა, აჯება უზენაესისადმი. მეფე იუდეისა – დავითი – გენიალური პოეტი გახლდათ. ბევრს როდი ძალუძდა და ძალუძს ადამიანის სულში მისებრ ჩახედვა, მსოფლიო პოეზიაში ძალიან ცოტა მეგულება სხვა პოეტი, რომელსაც ასე ხელეწიფებოდეს ადამიანის ღვთაებისადმი გონისმიერი მიმნდობლობის წარმოჩენა, იმ ადამიანის სულის წიაღის ჩვენება, ღვთაებასთან მიახლოების გრადაციით რომ ზომავს თავის რაობასა და ადგილს ცისქვეშეთში.

ხოლო რაც შეეხება კათალიკოს-პატრიარქის მიერ შეთხზულ გალობას, იგი თანხვედრია ამ მარტოდშთენილი არსების გამთოშავი, ტრაგიკული ყოფისა. ამ გალობის მუსიკალურ პარტიტურაში გაშფოთებს არა მხოლოდ ინდივიდის — ადამიანის შეჭირვებული სული, მისი გადმოცემის ნიჭიც. მარტოდშთენილობიდან — უმწარესი მდგომარეობიდან გამოსვლის პერსპექტივის ჰანგიც ჩაესმის ყურს, ამიტომ მის გარკვეულწილად მინორულობაში მაჟორული განწყობაც იჭრება. გაცნობიერებული მაქვს, რომ შეუთავსებელის შეთავსებაზე ვლაპარაკობ, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ პროფესიონალი მუსიკოსისათვის ასეთი განსჯა ღიმილისმომგვრელიც გამოდგეს, მაგრამ მე მუსიკის ჩემეულ აღქმაზე მოგახსენებთ და არამცდაარამც პროფესიულ ანალიზს: ასე მეჩვენება, ღვთისადმი აჯებამ სამანი უნდა დაუდოს ადამიანის ტანჯვა-ვაებას.

კვლავ მოთქვამდა გუნდი, კვლავ ჟღერდა სამგლოვიარო მუსიკა.

და როდესაც ის დიდებული გალობა კიდევ ერთხელ გაისმა, მოულოდნელად გაოცება დამეუფლა და ჩავილაპარაკე:

— აქვს კი ადამიანს უფლება, უფალს უთხრას ჩემთან მოდიო?!

მართლაცდა, ძალიან გაბედული თხოვნაა! დიდია ავტორი ამ სტრიქონებისა, მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს, მოკვდავია, მის ამქვეყნიურ არსებობას, არსებობის სამანებს, რაობასაც უზენაესი განსაზღვრავს. და უცებ, „მოდი ჩემთან!“

კათალიკოს-პატრიარქმა თავისი — ბრძენკაცის მზერა მომაპყრო. უხმოდ მიცქერის, არც რაიმე ემოცია გამოუხატავს. მე კი თავს დამტრიალებს ფიქრი:

— აქვს კი ადამიანს უფლება უფალს მოუწოდოს, შესძახოს, ჩემთან მოდიო?

მაგრამ... მაგრამ... — ფიქრი მძიმედ მიიკვლევს გზას — როცა იგი წერს: „ვუთხარი ღმერთს, ჩემს ქომაგს: რად დამივიწყე? რად მაიძულე, რომ ვიარო მტრის მიერ შეჭირვებულმა?“ (42,10) მერე კი მიმართავს: „იდავე, დავა ჩემი. არაკეთილი ხალხისაგან, ცბიერი და ბოროტი კაცისაგან მიხსენი“ ან „ღმერთო, ნუ დამშორდები, ღმერთო, ჩემს დასახმარებლად გამოეშურე!“ (71,12). ეს ხომ იმას ნიშნავს, უფალი ღმერთი ძალიან ახლობელია, ახლო მისულხარ მასთან.

და როცა მიმართავ ჩემთან მოდიო, იმას ნიშნავს, ღმერთი გახლავთ მშველელი, ან სულაც რაციო, რომელსაც ძალუძს ადამიანის სულში სიმშვიდე, სიკეთე დაასადგუროს. აქ უფლის ფიზიკური გადაადგილება, მოძრაობა კი არ იგულისხმება, ის, რომ უფალმა ადამიანის სულს მოჰფინოს მხნეობა, მტრის შეჭირვებისგან თავდახსნის ძალა, სიკეთის ქმნის ნიჭი. და...

შველას, შველას თხოულობს ადამიანი!

— სხვასთან ვისთან უნდა მივიდეს უფალი საშველად, ვის უნდა უბოძოს სულიერი სიმშვიდე, მხნეობა, სიკეთის ქმნის ნიჭი, თუ არა ადამიანს? — ვიკითხე ხმამაღლა.

კათალიკოს-პატრიარქს სახეზე ღიმილი მოედო, გადამეხვია და მე მივხვდი: ამ წუთში იგი კონკრეტულად მე კი არ მეხვეოდა, მიესალმებოდა ადამიანის უნარს, მყის ჩასწვდეს ამ ერთი სტრიქონის აზრს. მის მზერაში სიხარული ამოვიკითხე, მისი ეს სიხარული მე ასე გავიგე: მას ჰქონდა პასუხი ჩემს კითხვაზე, არ თქვა, მიმზერდა, ამ მზერა-პაუზაშიც ჩანდა მისი სიბრძნე: ადამიანს მისცა საშუალება, თავად ჩასწვდეს, მიხვდეს ყველაფერს და როცა მისი გეზი გამართლდა, მომეხვია.

მომეხვია, სწორედ ისე, როგორც სამიოდე წლის წინათ, როცა დილაადრიან ვეწვიე.

***

რამდენიმე წელიწადი ვოცნებობდი ჩემს ჭაღარა და მრავლისმომსწრე თბილისში ყოფილიყო იუდეის დიდ მეფეთა — დავითისა და სოლომონ ბრძენის სახელობის ქუჩები. მჯეროდა, ამ დიდ მეფეთა, გენიალურ შემოქმედთა სახელები თბილისს მეტ აზრს, სილამაზეს შემატებდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში სულ სხვა — საღი ტენდენცია მკვიდრდებოდა, კანონიერების განმტკიცებისთვის იბრძოდნენ და პირად ნაცნობობას კი არ დავეყრდენი, დავჯექი და ქ. თბილისის — მერს ბ-ნ ზურაბ ჭიაბერაშვილს წერილი მივწერე. თუმცა, მანამდე პირად საუბარში ჩემი ოცნება გავუმხილე — არ შეიძლება ამოდენა ისტორიის ქალაქში დავითი და შლომო მეფე — სოლომონ ბრძენი არ დასახლდნენ-მეთქი.

იმ წლებში ქ. თბილისის მერიაში შექმნილი გახლდათ მრჩეველთა საბჭო. ამ საბჭოს ცნობილი ჟურნალისტი, სატელევიზიო წამყვანი დავით პაიჭაძე მეთაურობდა. წერილის გაგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგ დავით პაიჭაძემ დამირეკა და მითხრა: „რახან ქალაქის მერს წერილი გამოუგზავნე, ალბათ, ის ქუჩებიც შერჩეული გაქვს, რომელსაც იუდეის მეფეთა სახელი შეიძლება დაერქვას“. „ქუჩები შერჩეული არ მაქვს, მაგრამ ეს ქუჩები უსათუოდ ძველ ქალაქში უნდა იყოს-მეთქი“, ვუთხარი. „მერიის კულტურის სამსახურში მივიდეთ, ბადრი ქუთათელაძეს, სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქალაქის რუკა აქვს, ყველა ქუჩა კარგად იცის“ — მითხრა დათომ. მივედით, ბადრიმ ქალაქის რუკა გადაგვიშალა, ბევრი ვეძებეთ, ვარჩიეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ის ქუჩები, რომელიც მომწონდა, ხელისუფლების მიერ უკვე ახალი სახელგადარქმეული იყო. ის, რომლის სახელის გადარქმევაც შეიძლებოდა, მეფეთა — დავითისა და სოლომონის დიდი სახელებისათვის შეუფერებლად მიმაჩნდა. ერთი სიტყვით, ვერაფერი ვნახეთ. დრო გადიოდა. ახლა აღარ მახსოვს, ვინ, მერიის რომელმა თანამშრომელმა მითხრა, ვგონებ, ქუჩები შეგირჩიეთო. საუბარი იყო ავლაბრიდან აეროპორტისაკენ მიმავალი ქეთევან წამებულის გამზირის პარალელურ ქუჩაზე. ქუჩის დასათვალიერებლად დავით პაიჭაძესთან ერთად წავედი. ვნახეთ. თითქოს ხელსაყრელი ვარიანტი იყო: ქუჩა საკმაოდ გრძელია, ხიდი ორ ნაწილად ჰყოფს (ცხადია, პირობითად), ავლაბრიდან ხიდამდე მიმავალ გზას შეიძლებოდა დარქმეოდა მეფე დავითის სახელი, ხოლო ხიდის იქეთა მხარეს — შლომო მეფის სახელი, მაგრამ შემოთავაზება მაინც არ მახარებდა — საქმე ის გახლდათ, რომ ქუჩა, ასე ვთქვათ, პერიფერიული ხასიათისა იყო, იქ ადამიანები მხოლოდ მანქანით თუ გაივლიან, ფეხით მოსიარულეს იშვიათად ნახავთ, მეორეც: ქუჩას რკინიგზა ჩაუდის, ამ რკინიგზაზე რახა-რუხით მიმორბიან მეტწილად აზერბაიჯანიდან ნავთის ცისტერნებით დატვირთული, ან სომხეთიდან მომავალი სატვირთო, სამგზავრო მატარებლები. ერთი სიტყვით, ეს ქუჩები არ მომწონდა, მაგრამ იმის გამო, რომ სხვა უკეთესი ვარიანტი ვერ ვიპოვეთ, თითქოს ყაბულს უნდა გავმხდარიყავ.

ამასობაში ქალაქის მერი გამოიცვალა — ბ-ნი ზ.ჭიაბერაშვილი ევროსაბჭოში გადაიყვანეს, მერი გახდა ბ-ნი გიგი უგულავა. ერთ-ერთი შეხვედრისას ჩემი დიდი ხნის ნატვრა გავუზიარე. ბ-მა გიგიმ თანხმობის ნიშნად გაიღიმა და თავი დააქნია, საინტერესო აზრიაო.

მაგრამ ქუჩა? რომელი ქუჩებისათვის უნდა დაგვერქმია დიდ მეფეთა — მეფსალმუნისა და მეიგავის სახელები?

ერთხელ ბეით ქნესეთში ყოფნისას ეზოში გამოვედი, ბეით ქნესეთის წინ ბაღში რეკონსტრუქციას ატარებდნენ, „აი, ყველაზე უკეთესი ადგილი დიდ

მეფეთა სახელის მისანიჭებლად — გავიფიქრე — ბეით ქნესეთის წინ იქნება დავითისა და შლომოს სახ. სკვერი!“ ეს აზრი ჩემს ძმას — მალხაზ ბათიაშვილს სიხარულით რომ გავუზიარე, მან, ასე ვთქვათ, ცივი წყალი გადამასხა: ეგ პარკი საპატრიარქოს კუთვნილება უნდა იყოს, არ გამოვა, მხოლოდ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შეუძლია მაგ საკითხის გადაწყვეტაო. პატრიარქთან მივალ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მისი შეწუხება მეუხერხულებოდა, დიდხანს ვჭოჭმანობდი, როგორ უნდა მეთქვა, ის პარკი დავითისა და სოლომონის სახელობისა იყოს-მეთქი.

დრო კი გარბოდა.

გადავწყვიტე, მივალ, აზრს მაინც დავეკითხები-მეთქი.

დილაადრიან მოვიდესო, უთქვამს. მივედი.

მე მას ყოველთვის ოფიციალურ მიღებაზე ვხვდებოდი — სადღესასწაულოდ მორთულს. ამჯერად შავი, უბრალო ხალათი ეცვა. ეს უბრალო ხალათი კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მისი, როგორც ერის სულიერი მამის არსს, იმას თუ რაოდენ მძიმე ტვირთი აწევს მხრებზე. სიდიადე უბრალოებაში დაკონკრეტებულიყო.

პატარა ოთახში დავსხედით. რამ შეგაწუხაო, მკითხა თბილად.

ჩემი დიდი ხნის ნატვრა გავაცანი.

მზერა გაუბრწყინდა. ეს რა კარგი აზრი მოგსვლიაო.

მაგრამ ის ქუჩები ვერ ვიპოვეთ, რომელსაც ამ დიდ მეფეთა სახელი უნდა დავარქვათ-მეთქი — ვუთხარი. კარგა ხნის შემდეგ დავსძინე — ხომ არაფერ რჩევას მომცემთ, თუ ქუჩები ვიპოვეთ, ქალაქის მერია, საკრებულო არ დააყოვნებს-მეთქი.

კარგა ხანს იჯდა უხმოდ. ფიქრობდა. მერე დინჯად, აუჩქარებლად, ისე როგორც მას სჩვევია, თქვა:

— იცით რა, ბადრი პატარკაციშვილს დახმარება ვთხოვე და მეტეხის აღმართზე დავით წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი ავაშენეთ. მანდ ბევრი პატარა ქუჩაა, აბა, გაიარ-გამოიარეთ, იქნებ, რაიმე იპოვოთ.

ბეით ქნესეთის წინ მდებარე პარკზე, ცხადია, სიტყვაც არ დამიძრავს.

წამოსვლამდე კათალიკოს-პატრიარქმა პატარა ოთახში შემიპატიჟა, თუ არ ვცდები, მისი სამუშაო ოთახი გახლდათ.

— აი, მეფე დავითი, აი, მეფე სოლომონი! — ორ ნახატზე მიმითითა. გაგონილი მქონდა, რომ მას თავად დაეხატა დავითისა და სოლომონის პორტრეტები. დიდებული პორტრეტები იყო, განსაკუთრებით სოლომონის პორტრეტმა მომხიბლა: ვაჟკაცური აღნაგობის, ბრძნული გამოხედვის, დახვეწილი ნაკვთების, სიჭაბუკეს გადაცილებული, მეტრფე სულამიფისა. (მოგვიანებით ილია მეორემ ეს პორტრეტი ბადრი პატარკაციშვილს აჩუქა).

— ამ პორტრეტებს ვერ დახატავდა ადამიანი, რომელსაც ძლიერ არ უყვარს იუდეა, ებრაელობა — ვთქვი მე.

კათალიკოს-პატრიარქი გადამეხვია. ისე, როგორც მოგვიანებით ბადრი პატარკაციშვილის ახლად გათხრილ საფლავთან. აქაც და იქაც ეს გადახვევა იმის ნიშანი იყო, რომ ფიქრი, ზრახვა ამოვიცანი.

საპატრიარქოდან მეტეხის აღმართზე წავედი. მანქანა მაღლა, ავლაბარში დავტოვე და ზემოდან ფეხით დავუყევი, დაღმართზე დავეშვი. ერთობ სახელოვან მოღვაწეთა ქუჩებია, ამ სახელებს მერია არ შეცვლის. მერე აღმართს ამოვყევი. იმედი თითქმის გადაწურული მქონდა, „მეტეხის აღმართის პირველი შესახვევი“, რომ დავინახე. ქუჩაზე გავიარე, მერე, სასტუმრო „კოპალას“ მხარეს, მეტეხის აღმართის მეორე შესახვევი შევნიშნე.

იმ დღეს სამჯერ ავედი მეტეხის აღმართზე — სამ სხვადასხვა მეგობართან ერთად. არჩევანი ყველამ მომიწონა. მეორე დღეს მერიას ყველაფერი მოვახსენე.

2006 წლის 12 ივლისს ქალაქ თბილისის საკრებულომ გამოიტანა დადგენილება:

„ქალაქ თბილისში, მეტეხის აღმართის ორი ქუჩისათვის დავით მეფის და მეფე სოლომონ ბრძენის სახელის მინიჭების შესახებ“.

საქართველოს კანონის — „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად, ბიბლიური მეფეების და პოეტების — მეფსალმუნე დავით მეფის და მეფე სოლომონ ბრძენის უკვდავსაყოფად ქ. თბილისის საკრებულო ადგენს:

ქ. თბილისში, მეტეხის აღმართის ორ ქუჩას ეწოდოს მეფსალმუნე დავით მეფის და მეფე სოლომონ ბრძენის სახელი“.

ქუჩების გახსნა ხანუქის დღეებში გადავწყვიტეთ.

საქმე ის გახლდათ, რომ ბადრი პატარკაციშვილს დიდი ჩანაფიქრი ჰქონდა: ეწადა თბილისის ბეით ქნესეთის წინა მოედანზე დაედგა უზარმაზარი მენორა და ბეით ჰამიკდაშის სიმბოლური კედელი. 10 ტონა იერუსალიმური ქვა ისრაელიდან გემით მოჰქონდათ, მენორა აქ, თბილისში უნდა აეწყოთ. ბ-ნი ბადრი ძალიან ნერვიულობდა — გემს აგვიანდებოდა, ალბათ, ზღვაზე უამინდობის გამო. როგორც იქნა, ჩამოვიდა. ხელოსნები დღე და ღამე შრომობდნენ, ეს დრო უქმად არ დაკარგულა — საქართველოში ისრაელის მაშინდელი ელჩი — შაბთაი ცური ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელ უფროსთან, კობა სუბელიანთან მივიდა და თხოვა, ეს ქუჩები გაელამაზებინათ. კობამ დაპირება შეასრულა.

ქუჩების გახსნა 18 დეკემბერს, დღის 16 საათზე იყო დანიშნული. იმ დილასაც ვეახელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და ვთხოვე მობრძანებულიყო, სიტყვაც წარმოეთქვა. ძალიან მეწადა კათალიკოს-პატრიარქს და მთავარ რაბინს წარმოეთქვათ სიტყვები. ამ ფაქტს — ორი მეგობარი ერის სულიერ ლიდერთა ერთად დგომისა, სიმბოლურად მივიჩნევდი. ასეც მოხდა: ილია მეორემ პირველი სიტყვა თქვა, შემდეგ არიელ ლევინმა ისაუბრა. ასევე ზემოთ ხსენებულმა ელჩმა, თქვენმა მონა-მორჩილმა, თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა. ბადრი პატარკაციშვილთან შეთანხმება გვქონდა — სიტყვა უნდა ეთქვა, მაგრამ მოდით, ჩემს ნაცვლად იერუსალიმის ვიცე-მერი შლომო ათიასი გამოვიდეს, სიმბოლურია, დავითის ქალაქის ვიცე-მერი თბილისში დავითის ქუჩის გახსნაზე ისაუბრებსო (ბ. პატარკაციშვილის მოწვევით იყო ჩამოსული მენორას გახსნის ცერემონიალზე დასასწრებად. საქმე ის გახლდათ, რომ იერუსალიმის ვიცე-მერმა შლომო ათიასმა ბ. პატარკაციშვილს ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევაში დიდი სამსახური გაუწია მაშინ, როცა იგი იერუსალიმში ჯვრის მონასტერის მისასვლელი ქუჩისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებისა და მერე ამ ქუჩაზე რუსთაველის ბარელიეფის გახსნისათვის იბრძოდა.). ასეც მოხდა.

იმ საღამოს ბეით ქნესეთის წინ დიდი დღესასწაული იყო. ეს დღესასწაული ბადრი პატარკაციშვილმა აჩუქა თბილისს. მობრძანდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მშვენიერი სიტყვა თქვა, მშვენივრად გამოვიდა თავად ბ-ნი ბადრი.

ბ. პატარკაციშვილმა კი პრესას მაინც უთხრა თავისი სათქმელი:

— დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია. ბრძენმა ქართველმა ერმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ურთიერთობის გაღრმავებისათვის. ეს კიდევ ერთი ფაქტია იმისა, რომ ეს ბრძენი ერია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო დაფასდეს. გახსოვთ, ალბათ, რომ იერუსალიმში შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩაზე გაიხსნა შოთა რუსთაველის ბარელიეფი, დღევანდელი დღე ამ ფაქტის გამოძახილია. ორი ერი ყოველთვის იმაზე ვფიქრობთ, რითი ვასიამოვნოთ ერთმანეთს. მიმაჩნია, რომ ამ ორ ქუჩას აუცილებლად დაამშვენებს ორი წმინდანის სახელი, რომლებიც ქრისტიანულ სამყაროშიც წმინდანებად არიან შერაცხულნი. მე არ ვყოფილვარ ქუჩების გახსნის საქმეში ჩართული, ეს ბ-ნი გურამ ბათიაშვილის დამსახურებაა. ეს ქუჩები ძალიან უხდება იმ სახელებს, რომლებსაც ისინი დღეიდან ატარებენ.

გვიან საღამოს ბ. პატარკაციშვილმა თავის სასახლეში საზეიმო მიღება გამართა. მიღების დამთავრების წინ ვუთხარი:

— ახალი გეგმა მაქვს: ძალიან მინდა მოვაწყო მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველ ებრაელ ინტელექტუალთა შეკრება. ვიმსჯელოთ ქართველი ებრაელობის პერსპექტივაზე, იუდაისტური ტრადიციების შენარჩუნებაზე, ისრაელთან, საქართველოსთან მიმართების საკითხებზე.

ბ. პატარკაციშვილმა არაფერი მიპასუხა. საუბარში ვიღაცეები შემოგვიერთდნენ. რამდენმე ხნის შემდეგ ხელი ხელში გამიყარა, გვერდით გამიყვანა და მკითხა:

— როდის აპირებთ მაგ ყრილობას?

— ჯერ არ ვიცი, ეს დამოკიდებულია...

— მოიფიქრეთ, მერე შევხვდეთ.

ამის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება ძალიან გააქტიურდა. ვგონებ აღარც შევხვედრივარ. მოხდა ის, რაც მოხდა — საშინელი რამ!

ვიცი, ზოგიერთი ახირებული კაცი იმას, რასაც ქვემოთ დავწერ, განდიდების მანიად ჩამითვლის: (უამისოდაც ბევრ რამეს არ თაკილობენ ამ „ფერმკრთალი შეთქმულების“ მონაწილენი. ესეც მიემატოთ, გაიხარონ!) ზოგჯერ მიხდება ხოლმე გავლა დავითისა და სოლომონის ქუჩებთან. ასე მგონია, ჩემს ქუჩაზე დავდივარ.

უფრო ხშირად ვხედავ ბადრი პატარკაციშვილის მიერ აღმართულ მენორასა და ბეით ჰამიკდაშის სიმბოლურ კედელს.

ჩემთვის ეს ბადრი პატარკაციშვილის ძეგლია. მას შეეძლო გაემეორებინა ალ. პუშკინის სიტყვები: „ძეგლი დავიდგი ხელთუქმნელი უნეტარესი...“

ნამდვილად რომ ხელთუქმნელი, უნეტარესი ძეგლია, უკეთესს ვერც ინატრებს ადამიანი! ეგ არის რომ... მე მჯერა: დადგება დრო და ბეით ქნესეთის წინა მოედანზე დადგმულ მენორას ფეხთან გაჩნდება სულ ორი სიტყვიანი წარწერა: **ბადრი პატარკაციშვილი**.

არა, ეს არ იქნება ძეგლის ხელყოფა, ეს იქნება ამაგდარისადმი სათანადოს მიგება.

მჯერა, რომ ეს დღე დადგება!

გურამ ბათიაშვილი

მიხეილ ჩლენოვი-70

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ებრაული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, პროფესორს, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის დამფუძნებელთაგანს და დღეს გენერალურ მდივანს მიხეილ ჩლენოვს 70 წელი შეუსრულდა.

მიხეილ ჩლენოვი პოსტსაბჭოთა სივრცის ებრაელობის გამოჩენილი მოღვაწე, დიდი ინტელექტუალი გახლავთ. იგი ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში აკეთებდა იმას, რასაც სიონიზმი აუცილებელ პირობად მიიჩნევს — მოსკოვში ებრაელებს ფარულად ასწავლიდა ივრითს.

მიხეილ ჩლენოვის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ებრაელობის მზერა ისრაელისკენ, მისი გამოსვლები, პუბლიცისტური წერილები, რამდენიმე ენის ბრწყინვალე ცოდნა მას, ერთობ მნიშვნელოვან ფიგურად ხდის რუსეთის ებრაულ მოძრაობაში — დღეს ისრაელში მოღვაწე რუსულენოვან პოლიტიკოსთა, მეცნიერთა დიდი ნაწილი სწორედ მიხეილ ჩლენოვის მოსწავლეა თუ სამეგობრო წრიდანაა.

მიხეილ ჩლენოვმა სხვა თანამოაზრეებთან ერთად ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში შექმნა საკმაოდ სერიოზული ებრაული ორგანიზაცია — „საბჭოთა კავშირის ებრაული თემების და ორგანიზაციების კომიტეტი“. მას ყველა ებრაულად „ვაადი“ — მოვიხსენიებდით. პირველი ყრილობის მონაწილეებს ახსოვთ, თუ რა რთულ ვითარებაში ტარდებოდა ყრილობა: ყოველ წამს მოსალოდნელი იყო რუსოფილების, იმ წლებში გაშმაგებული „პამიატის“ დამკვრელური რაზმის შემოვარდნა, მოადგნენ კიდეც მოსკოვის კინოსახლს, სადაც ყრილობა ტარდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს, ვერ გაბედეს. ეს ყრილობა 1989 წლის დეკემბერში 3 დღე მიმდინარეობდა და გახდა შემობრუნების წერტილი საბჭოთა კავშირის ებრაელობის ისტორიაში.

მიხეილ ჩლენოვი ჩინებული, მსოფლიოში კარგად ცნობილი მეცნიერია. მან კარგად იცის ებრაელობის ისტორია. კარგად უწყის სად, რომელ კუთხეში რა ტრადიციას მისდევენ ებრაელები, როგორ ცხოვრობენ, რა ინტერესები ამოძრავებთ და ა.შ.

მიხეილ ჩლენოვს პატივს სცემენ მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციის ლიდერები. ეს პატივისცემა იქიდან იღებს სათავეს, რომ იციან მისი ღვაწლი საბჭოთა რუსეთის ებრაელობის ცხოვრებაში ხედავენ, თავად ადევნებენ თვალს, თუ როგორ უბრალო, თავმდაბალი პიროვნებაა ეს დიდებული მეცნიერი და მოღვაწე. სწორედ თავმდაბალი და უბრალო როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი. მიხეილ ჩლენოვი აწ უკვე წარმავალი ნამდვილი რუსული ინტელიგენციის ერთი ჩინებული ნაწილია, მისი ნატეხი.

მიხეილ ჩლენოვს დიდი მეგობრობა აკავშირებს საქართველოსთან, მან კარგად იცის საქართველოში ებრაელთა განსახლების საკითხები, ცდილობს იხელმძღვანელოს მეცნიერული აზრის მონაპოვრით და არა ლეგენდებით, მეორეც: ბევრი რამ აკავშირებს თანამედროვე ქართველ ებრაელობასთან. შარშანწინ მოსკოვში კინოს სახლში ჩემი რომანის პრეზენტაციაზე მან ისე ვრცლად, საინტერესოდ ისაუბრა არა მხოლოდ ჩემს რომანზე, არამედ ქართველი ებრაელობის ფენომენზე და ჩანქან ზორაბაბელის პიროვნებაზე, რომ დარბაზი მოხიბლული უსმენდა. დარბაზში კი რუსული კულტურის ერთობ საინტერესო მოღვაწეები ისხდნენ.

იგი ჩვენი სტუმარი გახლდათ საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების დღესასწაულზე, (1998წ) მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მერეც, ამ დღეებშიც გვეწვია.

ად მეა ვეესრიმ, ბატონო მიკა!

ბ.ბ.

(მეხუთე გვერდიდან)

სამეცნიერო კონფერენციის სტუმრები ებრაულ სახლში

აშკენაზთა ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაის — ელგუჯა ჯანაშვილის სურვილით გადადგომის შემდეგ გაბაიდ იოსებ (სოსო) მირილაშვილი აირჩიეს.

„მენორას“ კითხვებს თბილისში მყოფი მოსკოვის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი აბრამ ელაშვილი პასუხობს.

იერუსალიმში ქართველი სიძველეებისა და იერუსალიმში შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანების თაობაზე „მენორა“ ქ-ნ თამილა მგალობლიშვილს გაესაუბრა.

იბეჭდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექსიკოლოგთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმზე პროფესორი რუბენ ენოხი (ენუქაშვილი) მოიწვიეს.

„ტყუილი, ტყუილი, ტყუილი!“ ასე ერქვა რეპლიკას, რომელიც მხილებულია ჯ. ხუხაშვილის სიცრუეში: 19 აპრილს „იმედის“ ტელემაყურებელს იგი როგორც „საქართველოს ებრაული სათვისტომოს ხელმძღვანელი“ წარუდგა. ეს გახლდათ ისეთივე დეზინფორმაცია, როგორსაც იგი ავრცელებდა „მენორას“ რედაქტორზე, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებში მაბეზღართა წერილებს გზავნიდა.

18 მაისს თბილისის ალ. გრიბოედოვის თეატრში გაიმართა ისრაელელი დრამატურგის — იეშუა სობოლოს პიესის „გეტოს“ პრემიერა. კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი გახლდათ.

ივნისი

1 ივნისს თელ-ავივში, შენკენის ქუჩაზე ახალი ბეით ქნესეთი „ბეით მოშე“ გაიხსნა. ბეით ქნესეთს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის — მოშე (მიშიკო) მირილაშვილის სახელი მიეკუთვნა. ბეით ქნესეთში 18 ახალი სეფერ თორა შეაბრძანეს.

„მენორა“ „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს ბ-ნ რევაზ შათაშვილს და „ხესედ ელიაჰუს“ სამედიცინო სამსახურის უფროსს, ექიმ მიხეილ ჯანაშვილს გაესაუბრა „ხესედ ელიაჰუს“ სამედიცინო სამსახურის თაობაზე.

თბილისში იმყოფებოდა ებრაული კლასიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე დიდებული მთარგმნელი თეოლოგი შალომ დავიდი. იგი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და დიასპორის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა და მონაწილეობდა სამინისტროს ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.

24 მაისს ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში შეხვედრა მოუწყეს ქ. ხაიფიდან ჩამოსულ ქალბატონს თამი სეფიაშვილს, სადაც მისი წიგნის პრეზენტაციაც გაიმართა.

25 მაისს თბილისის ებრაულ სათემო სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა ჩაატარა საბავშო პროგრამა „შალომ სეზამის“ კონცერტი, რომელიც „შავუოთს“ მიეძღვნა.

ისრაელის პრემიერმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ ვიდეო მიმართვაში, რომელიც გაბრიელ მირილაშვილის ბეით ქნესეთის გახსნასთან დაკავშირებით გამოგზავნა, მაღალი შეფასება მისცა ქართულ ებრაელობას. ნათან შარანსკი მიიჩნევს, რომ ბეით ქნესეთის სწორედ ქალაქის ისეთ უბანში აშენებაა, რომელშიც მას ნაკლებად ეტანებიან, დიდი მიცვაა. ქართველი ებრაელობა ისრაელის აღმშენებლობის სამსახურში ჩადგა და ამას ყველა აღიარებს.

„მენორა“ აქვეყნებს ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარის რუბი რივლინისა და ასევე სემ კონგრესის პრეზიდენტის მ.შ. გაბრიელ მირილაშვილის მიერ „ბეით მოშეს“ გახსნისას წარმოთქმულ სიტყვას.

რუბრიკაში „ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა“, რომელსაც ვიცე-პრემიერი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი თემურ იაკობაშვილი უძღვება, საქართველოს ყოფაში მნიშვნელოვან გარდატეხაზე საუბრობს.

თბილისში გაიმართა იოსებ ბარადანაშვილის ახალი „მანდოლინისა და სიმფონიური ორკესტრისათვის“ დაწერილი ნაწარმოების პრემიერა. მსმენელი ერთობ გულთბილად შეხვდა კომპოზიტორის სცენაზე გამოჩენას, დიდი ოვაცია მოუწყვეს მას.

22 ივნისს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა ბრწყინვალე ებრაელი მსახიობის — მიხოელსის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

„Иерусалимский Журнал“-ის 2009 წლის ერთ-ერთ ნომერში (№32) დაბეჭდილია გურამ ბათიაშვილის მოთხრობა „სინაგოგა“.

ივლისი

ისრაელის ელჩი იცხაკ გერბერგი ბათუმს ოფიციალური ვიზიტით ეწვია, სადაც იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ლევან ვარშალომიძეს შეხვდა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობაზე ესაუბრა.

ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა ასევე მოინახულა ისრაელის საელჩოს მოწვევითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩამოსული კატარაქტაზე სპეციალიზირებული ებრაელი ქირურგები: დან ზაქსი და ემანუელ შველები, რომლებმაც ქ. ბათუმში უფასოდ ჩაატარეს კატარაქტის ოპერაციები.

„მენორას“ რედაქცია მრავალთასიანი მკითხველის სახელით ღირსეულ პიროვნებას, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტს რომან შალელს (შალელაშვილს) ულოცავს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

4 ივლისს შალვა ამირანაშვილის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა“, რომელიც ბენ ცვის ინსტიტუტის მიერ საქართველოში ჩატარებული მსოფლიოს ებრაელთა ისტორიის მკვლევართა სემინარს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველ ებრაელთა კულტურის, ისტორიისა და ყოფის ამსახველი ექსპონანტები.

6 ივლისს თბილისის ებრაულ სათემო სახლის საქართველოში მყოფი საქართველოს ებრაელების ისტორიის სემინარის წევრები ესტუმრნენ.

„მენორა“ გთავაზობთ „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორთან რევაზ შათაშვილთან საუბარს „ხესედ ელიაჰუს“ პროგრამების თაობაზე.

ისრაელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკაციანი დელეგაცია ამ უნივერსიტეტის რექტორის პროფ. გიორგი ონიანის, პროფ. ომარ გვეტაძისა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის შემადგენლობით არიელის სამარიის საუნივერსიტეტო ცენტრს ეწვია, სადაც ამ უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად გაფორმდა ხელშეკრულება.

9 აბი (20 ივლისი) საქართველოს ებრაელობამ ახლობელთა საფლავების მონახულებით აღნიშნა მეორე ტაძრის დანგრევის ტრაგიკული დღე.

„მენორა“, საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი არიელ ლევინი, საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეხ როზენბლატი, ბ-ნი სოსო აჯიაშვილი ბ-ნი რამინ იაკობაშვილი და ბ-ნი ლერი შიმშილაშვილი „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს, თემის თვალსაჩინო წარმომადგენელს ბ-ნ რევაზ შათაშვილს 60 წლის იუბილეს ულოცავენ.

„მენორა“ წარმოგიდგენთ „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ წოდების მატარებელ ერთადერთ ქართველს — ბ-ნ სერგო ვასილის ძე მეტრეველს და მის ვაჟს ცნობილ კარდიოლოგს, ამჟამად საქართველოში მცხოვრებ ბ-ნ აბელ მეტრეველს.

თბილისის ებრაულ სათემო სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა საბავშვო პროგრამა „შალომ სეზამის“ გამოსაშვები ზეიმი ჩაატარა.

ისრაელში გამოვიდა ახალი ტიპის სახელმძღვანელო „ქართულ-ებრაულ და ებრაულ-ქართული სასაუბრო“.

აგვისტო

8 აგვისტოს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა ებრაული საზოგადოებრიობის ერთი ჯგუფის შეკრება, რომლის ინიციატორი გახლდათ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „საქართველოს ებრაელთა კავშირ — შალომის“ საინიციატივო ჯგუფი.

ეაე კონგრესის და ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (დირექტორის ქ-ნი ლენა ბერკოვიჩი) ხელშეწყობით ბაკურიანში ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი მოეწყო.

„მენორა“ აქვეყნებს ქ-ნი ლეილა ნოდიას წერილს პოეტის, ჟურნალ „აშდოდელების“ და გაზეთ „აშდოდის მოამბეს“ რედაქტორზე ბ-ნ სულო სეფიაშვილზე.

რუბრიკაში „ებრაელები მსოფლიო ხელოვნებაში“ წარმოდგენილია გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატის რეზო-ემილიანე ადამიას სტატია ლეგენდარული ებრაელი მხატვრის — ამადეო მოდილიანის შესახებ.

12 აგვისტოს ქ. აშდოდში მიხაკაშვილის ქუჩაზე გაიხსნა სრულიად რესტავრირებული ბეით ქნესეთი „ბეით ელიაჰუ“, რომელიც მოსკოველმა ბიზნესმენმა რომან შამილაშვილმა მოსკოვში, „სბაროს“ ქსელის თანამფლობელმა, თავისი მამის — ილია შამილაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

სექტემბერი

„მენორას“ მკითხველს ახალი 5771 წელს — როშ ჰაშანას ულოცავენ საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, საქართველოს მთავარი რაბინის მ.შ. ავიმელეხ რეზენბლატი, ისრაელის ქნესეთის წევრი ანასტასია მიხაელი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იცხაკ გერბერგი.

„მენორა“ აქვეყნებს ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის, შიმონ პერესის მიმართვას ებრაული დიასპორისადმი 5771-ე ებრაულ ახალი წელთან დაკავშირებით.

3 სექტემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ „სოხნუთის“ 20 წლისთავთან დაკავშირებით ებრაული სააგენტოს — „სოხნუთის“ ალიისა და აბსორბციის განყოფილების ხელმძღვანელმა ელი ქოენმა, საქართველოს ებრაული პრესისათვის პრეს-კონფერენცია გამართა. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ „სოხნუთის“ დსთ განყოფილების ხელმძღვანელი ალექს კაცი და „სოხნუთის“ წარმომადგენელი საქართველოში ავი ოფირი.

6 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში ფართოდ აღინიშნა საქართველოში ებრაული სააგენტოს დაარსების 20 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარეს საქართველოს უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პარლამენტარებმა, ებრაულმა საზოგადოებამ, მთავრობის წევრებმა.

„მენორა“ აქვეყნებს ბ-ნ ზურაბ კიკნაძის ჩანაწერების ციკლს „ებრაული სიბრძნის სამყაროში“.

1 სექტემბერს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მიიღო სემკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გაბრიელ მირილაშვილი, ვიცე პრეზიდენტი ისაკ მამისთვალოვი და სხვა. შეხვედრაზე საუბარი სემკ-ის საქმიანობაზე გაიმართა, იმ პერსპექტივებზე, რაც კონგრესს აქვს დასახული სამომავლოდ.

კიევში „ზაკას“ — ძალზე ჰუმანური მისიის მატარებელი - საერთაშორისო ორგანიზაციის — 20 წლისთავი აღნიშნეს. „ზაკას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, როგორც მოგეხსენებათ ქველმოქმედი და ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილია.

5-7 სექტემბერს კიევში ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც ეაკას 5770 წელს გაწეულ მუშაობაზე იყო საუბარი, ასევე სხვადასხვა მოხსენებები გაკეთდა.

„მენორას“ პუბლიკაციების მიხედვით შეადგინა

ლიდია ხომენკომ

ყურადღება!

ისრაელის ინფორმაციისა და დიასპორის სამინისტრომ გახსნა ახალი საინფორმაციო საიტი: „გიამბოთ ისრაელზე“ ისრაელისთვის კრიტიკული სიტუაციის დღეებში ამ საიტზე თქვენ წაიკითხავთ სიმართლეს ისრაელზე, იმ მითების გაბათილებას, რომელსაც ამ ქვეყნის მტრები ავრცელებენ მთელ მსოფლიოში.
იკითხეთ სიმართლე ისრაელის საიტზე: http://masbirim.gov.il

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003